ახალი განათლება

2009 წელი, 7 – 13 მაისი

ფასი 90 თეთრი

№17 (451) გამოდის 1998 წლიდან

რას ფიქრობენ პედაგოგები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

თორმეტწლიანი სწავლების შემოღებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩვენს გაზეთში არაერთი მოსაზრება გამოითქვა მე-12 კლასის სახელმძღვანელოების, თორმეტწლიანი სწავლების, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და რეპეტიტორობის შესახებ. საჭიროდ მივიჩნიეთ, გაგვერკვია, თუ რას ფიქრობენ თავად მე-12 კლასელები.

გამოიკითხა დედაქალაქისა და საქართველოს რეგიონების სკოლების 100-ზე მეტი უფროსკლასელი. გამოკითხულთა პასუხები იმდენად ერთგვაროვანი იყო, რომ გამოკითხვის ამ ფორმით გაგრძელება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ. ალბათ, არანაკლებ საინტერესო იქნება მე-12 კლასის პედაგოგთა მოსაზრებები იმავე საკითხების ირგვლივ.

რედაქცია თხოვნით მოგმართავთ, მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები გამოკითხვის თემატიკის ირგვლივ.

თბილისის №1 საშუალო სკოლა

ნატო კეკელია, მათემატიკის მასწავლებელი: აღტაცებული ვარ XII კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოთი. მასში ბევრი ახალი მასალა, საინტერესო, არასტანდარტული ამოცანაა, რომელიც აზროვნებას ავითარებს. მიუხედავად ამისა, შედეგი არ გვაქვს ისეთი, როგორიც XII-კლასელს სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეულია იმით, რომ არ არის თანხვედრა წიგნში თავმოყრილ მასალასა და ეროვნული გამოცდების პროგრამას შორის. საქართველოში კი უმაღლესი განათლების მიღებისათვის სწრაფვა განუზომლად დიდია – მშობლის სურვილია, შვილი სკოლაში იღებდეს ისეთ ცოდნას, რომ დამატებითი მომზადების გარეშე შეძლოს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. მხოლოდ აღნიშნული სახელმძღვანელოთი მიზანს ვერ ვაღწევთ. ვიმეორებ, სახელმძღვანელო არაჩვეულებრივია, მაგრამ აქ არ არის ყველა ის მასალა, რაც მისაღები გამოცდების პროგრამითაა გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ მათემატიკის სწავლების საკითხი გადასახედია დაბალ კლასებშიც. მე VI-VII კლასებსაც ვასწავლი. ვთქვათ, ავხსენი რაღაც ფორმულა, რომელიც ბავშვებმა საუკეთესოდ გაიგეს. ზუსტად ორი გაკვეთილის შემდეგ გადავდივარ ახალ თემაზე, კიდევ ორი გაკვეთილის შემდეგ – ისევ ახალ თემაზე და ა. შ. ბოლოს, როდესაც ვხსნი, მაგალითად, უსასრულოდ მცირე მიმდევრობებს, ბავშვებს უკვე დავიწყებული აქვთ განვლილი ელემენტარული მასალა. მიზეზი ის არის, რომ გავიგე – არ ნიშნავს, რომ ვიცი. ის რომ ცოდნად იქცეს, გაცილებით მეტი შრომაა საჭირო. ამის დრო კი ჩვენ არ გვაქვს – პროგრამა ხომ უნდა გავიაროთ. ბავშვის გონება კი დაიტვირთა სხვადასხვა თემებით, მაგრამ გამოდის, რომ ღრმად და საფუძვლიანად მან არც ერთი თემა არ იცის. ბუნებრივია, XII კლასში ასეთი ცოდნით მოსული მოსწავლისთვის სახელმძღვანელო საკმარისი ვერ იქნება. ამიტომაც იძულებული ვარ, დავიხმარო იმავე ავტორების, ასევე ძალიან კარგი წიგნი, „გავიმეოროთ მათემატიკა“. მესმის, რომ სკოლა არ არის დაწესებულება, რომელიც უმაღლესისთვის ამზადებს ახალგაზრდებს, მაგრამ მათ და მათ მშობლებსაც დღეს ასეთი სკოლა სჭირდებათ. მე რომ ეროვნული გამოცდების პროგრამას არ მივყვე და მხოლოდ XII კლასის წიგნით ვიხელმძღვანელო, ალბათ, კლასში მოსწავლე აღარ მეყოლება. არადა, წიგნში შეტანილია ისეთი თემები უმაღლესი მათემატიკიდან (თავისთავად ძალიან საინტერესო, მაგრამ მოცემულ ვითარებაში, ბავშვისთვის გამოუსადეგარი), რომლის ხარჯზე შეიძლებოდა წინა კლასებში ნასწავლი და დავიწყებული მასალის შეტანა. ამიტომ ვცდილობ, ეს დანაკლისი შევუვსო მოსწავლეებს და მაქსიმალურად გამოსადეგარი ვიყო მათთვის, როგორც აბიტურიენტებისთვის.

ვფიქრობ, რეალობიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოს ავტორებმა ეს ხარვეზი მომავალ გამოცემებში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

ნინო ბერაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: XII კლასი სიახლეა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში და გასაკვირი არაა, რომ ბევრ პრობლემას ვაწყდებით. აქ ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული – გაკვეთილებზე დასწრება, სახელმძღვანელოები, რეპეტიტორების საკითხი... პრობლემების სათავე კი ისაა, რომ მეთორმეტე კლასელთა, თითქმის, 100 პროცენტი აბიტურიენტია და მისთვის ყველაზე მთავარი ეროვნული გამოცდების

გვერდი 5

ძვირფასო მკითხველო!

ვაგრძელებთ რუბრიკას: „წარმოგიდგენთ კერძო სკოლას“. ჩვენ უკვე გაგაცანით GLC-სკოლა და სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“. დღეს შემოგთავაზებთ ინფორმაციას თბილისის საერო სკოლა „ოლიმპის“ შესახებ. შეგახსენებთ, რომ მსურველებს საშუალება აქვთ, ჩვენი გაზეთის ვებგვერდზე

www.axaliganatleba.ge

ამა თუ იმ სკოლისთვის ხმის მიცემით, გამოავლინონ მაღალი რეიტინგის მქონე სასწავლო დაწესებულება.

ვთავაზობთ კერძო სკოლებს, საქართველოს მასშტაბით, მოგვაწოდონ ინფორმაცია თავიანთ სასწავლებლებზე, 2009 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხმის მიცემა 2009 წლის 15 დეკემბერს შეწყდება, შედეგები შეჯამდება და სამი მაღალი რეიტინგის მქონე სკოლა რედაქციისგან „ახალი განათლების“ 2010 წლის ხელმოწერით დასაჩუქრდება.

„ახალი განათლების“ რედაქცია

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში

მარტი, აპრილი, 2009

მთავარი სიახლეები

- ნიკა გვარამიამ და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა გორის რ-ნის სოფელ ერგნეთის რეაბილიტირებული სკოლა გახსნეს;
- საერთო სამაგისტრო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება;
- ნიკა გვარამიამ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა;
- მინისტრმა საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებულ 20 სკოლას ლეპტოპები და პროექტორები გადასცა.

მათემატიკის კონკურსი პარტნიორი სკოლების ეგიდით



25 აპრილს, თბილისის 189-ე საჯარო სკოლის (№1 ექსპერიმენტული) ინიციატივით (დირექტორი **ზაზა გრიგალაშვილი**), წელს პირველად, მათემატიკის კონკურსი გაიმართა – X, XI და XII კლასების მონაწილეობით. კონკურსი პარტნიორი სკოლების მოსწავლეთა ეგიდით მოეწყო და მასში რეგისტრაცია 250-მა მოსწავლემ გაიარა, საქართველოს რეგიონებიდან და დედაქალაქის სკოლებიდან.

მათემატიკის კონკურსი ტესტური იყო, რომლის მომზადებაში ჩართული იყვნენ დედაქალაქის სკოლების მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელები.

კონკურსის მიზანი იყო:

- მოსწავლეებში აზროვნების უნარის განვითარება;
- მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლება;
- სკოლებსა და მოსწავლეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა;
- მასწავლებელთა და მოსწავლეთა წახალისება.

I ეტაპზე – მონაწილე სკოლა წარმოადგენდა შიდა შესარჩევი ტესტირების საფუძველზე, თითო ნაკადიდან, 5-10 მოსწავლეს.

II ეტაპზე – ჩატარდა საერთო შემაჯამებელი ტესტირება (წერითი სამუშაოს დრო – 1სთ და 30 წთ), რომელმაც გამოავლინა ქულათა მაღალი რაოდენობის მქონე მოსწავლეები სკოლიდან, შემდეგი პრინციპით:

თითო კლასიდან: X კლ – I ადგილი, II ადგილი, III ადგილი;
XI კლ – I ადგილი, II ადგილი, III ადგილი;
XII კლ – I ადგილი, II ადგილი, III ადგილი.

ტესტის შეფასების კრიტერიუმი:

- ტესტში მოცემულ თითოეულ საკითხს, ამოცანას, მაგალითს მითითებული ჰქონდა კონკრეტული ქულა;
- გამსვლელი კრიტერიუმი იყო უმაღლესი ქულა (დაგროვილი ქულების მიხედვით).

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ჟიურის თავმჯდომარე **თამუნა შანშიანშვილი**, 189-ე საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის გამგე; წევრები: **თამუნა მამსიკაშვილი**, 189-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში; **ნანა კაპანაძე**, 24-ე საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის გამგე; **ლელა კობახიძე**, 24-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი; **ვიქტორ სამყურაშვილი**, 53-ე საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის გამგე; **ნინო ნიკოლაიშვილი**, 126-ე საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის გამგე; **მარინა კობახიძე**, 122-ე საჯარო სკოლის მათემატიკის კათედრის გამგე.

4 მაისს, 189-ე სკოლის დარბაზში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

I ადგილზე გასული მე-10, მე-11, მე-12 კლასების მოსწავლეები დაჯილდოვდნენ პრიზებით – თითოეული100 ლარის ოდენობით.

ყველა საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლე დაჯილდოვდა გამომცემლობა „ინტელექტის“ და მათემატიკოს **ამირან ამბროლაძის** მიერ დაწესებული ძვირფასი პრიზებით. წიგნები გადაეცათ, აგრეთვე, წარმატებულ მოსწავლეთა მათემატიკის მასწავლებლებს.

თემურ ვეფხვაძე, მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი: *„ძალიან მომეწონა კონკურსის იდეა. კმაყოფილი ვარ შედეგებით. როგორც აქ ითქვა, კონკურსი ტრადიციული გახდება. მივესალმები ამ წამოწყებას და დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ორგანიზატორებთან მეთოდურ ნაწილში.“*

ამირან ამბროლაძე, მათემატიკოსი, ავტორი წიგნის „სახალისო მათემატიკა“: *„ასეთი კონკურსების მოწყობა ძალიან კარგია, ვინაიდან ამ დროს მოსწავლეთა წახალისება ხდება. კმაყოფილი ვიქნები თუ ჩემი წიგნები დაეხმარება მოსწავლეებს მათემატიკის ცოდნის გაღრმავებაში, ხოლო როგორც კონკურსის ერთ-ერთი მხარდამჭერი, შვედეთის საგანმანათლებლო სისტემაში მიღებულ გამოცდილებას საქართველოში გამოვიყენებ.“*

ზაზა გრიგალაშვილი, 189-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„კონკურსი ჩვენი სკოლის ინიციატივითა და პარტნიორ სკოლათა კავშირის ეგიდით ჩატარდა. წარმატების მიღწევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლების თანამშრომლობას, რომელიც წინ უძღოდა კონკურსს. კერძოდ, ტესტების შედგენაზე კოორდინირებულად მუშაობდნენ პარტნიორი სკოლების მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელები და სკოლის ადმინისტრაცია. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კონკურსის ყველა ორგანიზატორს და მონაწილე სკოლებს და, რაც მთავარია, კონკურსანტებს. იმედი მაქვს, რომ კონკურსი ერთჯერადი არ იქნება და იგი ტრადიციად გადაიქცევა.“*

კონკურსს სპონსორობას კერძო პირები – **ვანო ჩხაიძე** და **ნუგზარ უშიკიშვილი** – უწევდნენ.

კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები:

X კლასი

I ადგილი – **სოფიკო ბაბილუა** (ხობის №2 სკოლა);

II ადგილი – **თამარ ზაქარეიშვილი** (თბილისის №189 სკოლა);

III ადგილი – **გიორგი კრავეიშვილი** (თბილისის № 162 სკოლა).

XI კლასი

I ადგილი – **დიმიტრი მოცრაძე** (თბილისის №189 სკოლა);

II ადგილი – **ზიზი მერაბიშვილი** (თელეთის სკოლა, გარდაბნის რაიონი);

III ადგილი – **ზურაბ ნატროშვილი** (ზემო მაჩხაანის სკოლა, დედოფლისწყარო).

XII კლასი

I ადგილი – **სალომე ლეკიშვილი** (თბილისის №189 სკოლა);

II ადგილი – **ეკატერინე გოლოძე** (თბილისის №88 სკოლა);

III ადგილი – **მერი გოლოძე** (თბილისის №88 სკოლა).

თამუნა ჭანტურია



მკითხველმა საზოგადოებამ ახლახან მიიღო პროფესორ ამირან მექვაბიშვილის 300-გვერდიანი წიგნი სახელწოდებით **„მოქალაქეობათმცოდნეობა“**, რომელიც მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი.

„წიგნის სათაური შემთხვევით არ შეგვირჩევია, – წერს ბოლოთქმაში პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი**, – *ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად მუხლჩაუხრელი შრომა და ნათლად გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციაა საჭირო. საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, მიუხედავად ეროვნებისა და პროფესიისა, ხელი უნდა შეუწყოს სამშობლოს კეთილდღეობასა და აყვავებას; არ დაიშუროს ამისთვის უნარი, გამოცდილება და ცოდნა. ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოითხოვს ერის, ხალხის ენერგიის მობილიზებას და ერთი მიზნისკენ წარმართვას, რათა ღირსეულად დავდგეთ ფეხზე და მომავალმა თაობებმა შეძლონ უფრო მოწესრიგებულ სახელმწიფოში ცხოვრება“.*

პროფესორი ამირან მექვაბიშვილი, საქმის ცოდნით, საინტერესო პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით ცდილობს, წარმოაჩინოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი აღზრდის საუკეთესო შესაძლებლობანი და გარემოებანი. ფართო პლანში განიხილავს ზნეობრივი აღზრდის როლს ახალგაზრდა თაობის ჰარმონიულად განვითარებაში, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთობის აუცილებლობას, დაბეჯითებით საუბრობს სამშობლოს სიყვარულზე, როგორც უმაღლეს ზნეობაზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკითხს – „ოჯახის როლი ადამიანის, როგორც მოქალაქის, ჩამოყალიბებაში“, ასევე განხილულია სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის როლი მომავალი თაობის აღზრდასა და ფორმირებაში. ავტორი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ცალკეული ადამიანების სრულყოფილი აღზრდით ქვეყანაში იქმნება საზოგადოება, რომელიც ერისა და ქვეყნის წინსვლისა და განვითარების გადამწყვეტი ძალა იქნება.

პროფესორ ამირან მექვაბიშვილის წიგნი „მოქალაქეობათმცოდნეობა“ კარგ დახმარებას გაუწევს როგორც ჩვენს ახალგაზრდობას აღზრდის ტრადიციული, ქართული გამოცდილების შესწავლა-ათვისებაში, ისე უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს ამ დიდი პრობლემების გააზრება-გადაწყვეტაში.

იზოლდა ბერაძე, იზოლდა ქაფიაშვილი
პროფესორები

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში

მარტი, აპრილი, 2009

ზოგადი განათლების სიახლეები

საერთო სამაგისტრო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრანტებს ამიერიდან სახელმწიფო დაფინანსებს. მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლის გაგრძელება სურს მაგისტრანტობის კანდიდატს. საერთო სამაგისტრო გამოცდას გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს. გამოცდების შედეგების მიხედვით მაგისტრანტისთვის გაიცემა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. 1000-დან 2250 ლარამდე საგრანტო დაფინანსებას 1000-მდე მაგისტრანტი მიიღებს.

გორის რ-ნის სოფელ ერგნეთში რეაბილიტირებული სკოლა გაიხსნა

ნიკა გვარამიამ და საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ერგნეთში რეაბილიტირებული სკოლა გახსნეს.
2007 წელს ერგნეთ-მამისაანთებნის საჯარო სკოლას მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა და სასკოლო ინვენტარითა და კომპიუტერებითაც აღჭურვა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად სასწავლო დაწესებულება გაძარცვა, დაზიანდა კედლები, ჩამოინგრა სახურავი, მწყობრიდან გამოვიდა გათბობის სისტემა, სრულად განადგურდა სასკოლო ინვენტარი. ერგნეთ-მამისაანთებნის საჯარო სკოლის აღდგენითი სამუშაოები "საქართველოს ბანკის" კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდმა განახორციელა. ერგნეთის საჯარო სკოლის 77 მოსწავლე ამიერიდან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგრძელებს სწავლას. მინისტრმა მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის) ლაბორატორია გადასცა.

ინკლუზიური განათლება თბილისის შემდეგ, საქართველოს ათი რეგიონის საჯარო სკოლებში დაინერგება

პროექტს "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებში" განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ და ნორვეგიის სამეფოს ელჩმა საქართველოში ჯონ ემგრერგმა ხელი მოაწერეს. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: სკოლებში შესაბამისი ფიზიკური გარემოსა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რეგისტრაცია, შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა; სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციისა და სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი) პროფესიული განვითარება და სხვ.
სამწლიანი (2009-2011) პროექტი, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და ორგანიზაციის "ადამიანი ბავშვები" მხარდაჭერით განხორციელდება.
ინკლუზიური განათლება უკვე დაინერგა თბილისის 15 საჯარო საბოლოო სკოლაში. დღეისათვის ამ საპილოტე სკოლებში სწავლობს 250-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. უკვე გადამზადდა 300-მდე მასწავლებელი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონების 600-მდე პედაგოგს შეხვდა

რაიონების პედაგოგებთან შეხვედრაზე ნიკა გვარამიამ განათლების რეფორმის სიახლეებზე, განათლების ხარისხისა და სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა და პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. ახლა, მინისტრმა პრეზიდენტის სტიპენდიანტ 32 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა. ამ ტიპის შეხვედრების შედეგად მინისტრი და სამინისტროს წარმომადგენლები რეფორმის მიმდინარეობას პედაგოგებთან ერთად აფასებენ და რეფორმის დანერგვის ახალ გზებს მათთან კონსულტაციების შედეგად განიხილავენ.

ნიკა გვარამიამ საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა

მინისტრმა 2008 წელს საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ 8 მოსწავლეს ფულად პრემიები (2000 ლარი) გადასცა. ეროვნულმა ნაკრებმა შარშან ვიეტნამში, ეგვიპტესა და ესპანეთში 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.
ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის I ტურში გამარჯვებული მოსწავლეებიც. მოსწავლეებმა მინისტრსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს მაია ციმინოშვილს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს და შეკითხვები დაუსვეს. სულ პირველ ტურში 1 366 მოსწავლემ გაიმარჯვა.
სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტური 2-3 მაისს ჩატარდება. ოლიმპიადებს გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

მინისტრმა ნიკა გვარამიამ განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის გამართული კონკურსის გამარჯვებულებს ლეპტოპები გადასცა

კონკურსი "ეწერ თავისუფალ თემას" №24 საჯარო სკოლის ინიციატივით უკვე მეოთხედ მოეწყო. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებულმა X-XII კლასების 300-მდე მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების და დედაქალაქის სკოლებიდან. თავისუფალი თემის დასაწერად მოხაწილეებს შესთავაზეს 10 სათაური სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროდან: მათ შორის: ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან და ა.შ. მწერლების, ლიტერატორების, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტებულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ 17 გამარჯვებული გამოავლინა. მინისტრმა გამარჯვებულ მოსწავლეებს პორტატული კომპიუტერები გადასცა.

ნიკა გვარამიამ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებულ 20 სკოლას ლეპტოპები და პროექტორები გადასცა

საგანმანათლებლო კვირეულში (18-25 თებერვალი) ყველა საჯარო თუ კერძო სკოლა მონაწილეობდა. ამათგან საუკეთესო და ყველაზე აქტიური სკოლები სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა, რომელშიც შედიოდნენ ლიტერატორები, ისტორიკოსები, მწერლები. საუკეთესო სკოლებს შორის არიან: თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის, აფხაზეთის №12, ტეიბულის №6, გორის რაიონის ნაგარმაგევის, ხაშურის №8, ხობის №1, ბოლნისის №5, ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის №1, ზუგდიდის რაიონის ინგირის №1, თერჯოლის №1 საჯარო სკოლები და სხვ. დონისძიების ფარგლებში გაიმართა ლიტერატურული ალმანახის „1921" პრეზენტაცია, რომელშიც შესულია ლიტერატურულ აქციაში მონაწილე მოსწავლეების მიერ ოკუპაციის თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ, ქართული ენის დღის აღსანიშნავად, პირველკლასელებთან ერთად "დედა ენის" პირველი გამოცემები დაათვალიერეს

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, ხელნაწერთა ინსტიტუტმა "დედა ენის" პირველი გამოცემები და იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერები გამოფინა. „დედა ენა" პირველად 1876 წელს დაიბეჭდა, ავტორის სიცოცხლეში (1912-მდე) კი 33-ჯერ გამოიცა. სტუმრებმა დაათვალიერეს შემდეგი ექსპონატების ორიგინალები: "დედა ენის" პირველი გამოცემები (ქართულ და აფხაზურ ენებზე). XIX- XX საუკუნის მიჯნაზე შექმნილი რუნე შერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის თხზულებებისათვის, ილუსტრაციათა ესკიზები იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისათვის და სხვ. გამოფენაზე მიწვეულები იყვნენ პირველკლასელებიც, რომლებიც "რწყილი და ჭიანჭველას" ზღაპრის ილუსტრაციები გააფერადეს და წიგნად შეკრეს, ამაში მათ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრიც დაეხმარნენ.

მინისტრი საქართველოს რეგიონების პედაგოგებთან შეხვედრას განაგრძობს

ამჯერად ბ-ნ ნიკა გვარამია თელავის №1 საჯარო სკოლაში კახეთის რეგიონის 200-მდე პედაგოგს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა განათლების რეფორმის სიახლეებზე, განათლების ხარისხისა და სკოლებში წესრიგის გაუმჯობესებაზე ისაუბრა და პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა. ნიკა გვარამიამ პრეზიდენტის სტიპენდიანტ 43 პედაგოგს სერთიფიკატები გადასცა. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ხათუნა ოქიაური და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გია არსენიშვილი.

თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი პირველი სპორტული დარბაზი გაიხსნა

სკოლის სპორტული დარბაზი არასამთავრობო ორგანიზაცია "მშობელთა ხიდის" მხარდაჭერითა და იაპონიის საელჩოს დაფინანსებით გარემოსტდა და სპორტული ინვენტარით აღიჭურვა, სპორტულ დარბაზთან მისასვლელად სპეციალური პანდუსები განთავსდა, სპეციალური ტრენაჟორები კი სკოლამ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად მიიღო. დარბაზის რეაბილიტაციაზე სულ 81 960 ლარი დაიხარჯა. აქამდე ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანზე ტარდებოდა. დარბაზის გახსნის ცერემონიას მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე და იაპონიის ელჩი მასაიოში კამოჰარა დაესწრნენ.

უმაღლესი განათლება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლის პრეზენტაციას დაესწრო

კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლა (კკსს) კავკასიის რეგიონული კვლევების ინტერდისციპლინარულ ცენტრი იქნება, რომელიც მაღალი დონის სასწავლო და კვლევითი პროგრამებით იქნება უზრუნველყოფილი. სკოლის შექმნის მიზანია მიიზიდოს ახალგაზრდები და მკვლევარები რეგიონებიდან, ასევე კავკასიით დაინტერესებული ადამიანები სხვა ქვეყნებიდან; აგრეთვე ხელი შეუწყოს მშვიდობას, სტაბილობას და დემოკრატიას განვითარებას კავკასიის რეგიონში.
კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან" თანამშრომლობით შეიქმნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

წარმოგიდგენთ ჟერძო სკოლას

2001 წელს, თბილისში, ჯიქიას ქ. №3–ში დაფუძნდა "თბილისის საფეხბურთო აკადემია", რომელმაც მალევე მოიპოვა საკმაო პოპულარობა, როგორც ფეხბურთის განვითარების ერთ-ერთმა საუკეთესო სასწავლებელმა.

2002 წლიდან "საფეხბურთო აკადემიაში" გაჩნდა აუცილებლობა, რომ სპორტულ სკოლასთან შექმნილიყო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა და ეს იდეაც წარმატებით განხორციელდა. ამას ხელი შეუწყო ჯიქიას ქ. №3-ში არსებულმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ.

სკოლას აქვს ხუთსართულიანი შენობა დამატებითი ფლიგელებით, ხუთი საფეხბურთო მოედნით, კალათბურთის და სააქტო დარბაზებით, კეთილმოწყობილი სასადილო ხუთას მოსწავლეზე. გარდა ამისა, აქვს საგნობრივი კაბინეტები.

სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სტანდარტული საცურაო აუზი და საჭყუმპალაო. ასევე ტრენაჟორების დარბაზი და მასაჟის კაბინეტი ბავშვებისათვის.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს გახანგრძლივებული დღის რეჟიმით 9.00 – 17.15 საათამდე.

დღის განმავლობაში მოსწავლე დატვირთულია სხვადასხვა წრეებითა და სექციებით: ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ცურვა, ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები. გოგონებისთვის მუშაობს ბალეტის წრე, ხატვის და თექის დამუშავების სექციები.

მოსწავლეებს 13.00-14.30 საათამდე აქვთ სადილი შესაბამისი მენიუთი და ადგილზე დამზადებული საკონდიტრო ნაწარმით.

სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი შესაბამისი პროგრამებითა და ნორმებით. VIII კლასიდან გაღრმავებულად ისწავლება უცხო ენები: ინგლისური, რუსული, გერმანული.

სკოლაში სწავლობს 530 მოსწავლე და ასწავლის 72 მასწავლებელი. სპორტულ განყოფილებებსა და ხელოვნების წრეებს უძღვება 12 მწვრთნელი და პედაგოგი.

სკოლაში არის მოსამზადებელი განყოფილება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

გამოკითხვა

რას ფიქრობენ პედაგოგები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

პირველი გვერდიდან

წარმატებით ჩაბარებაა. ამ საფეხურზე მშობელთა მხრიდან ჩნდება დაკვეთა – მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის. შეფასების ცენტრის მიერ შემოთავაზებული პროგრამა კი, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივადაც არ პასუხობს მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოს. ამიტომ, პირადად მე, იძულებული ვარ, გამოვიყენო ეს სახელმძღვანელო არა როგორც მთავარი და აუცილებელი, არამედ როგორც დამხმარე, თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ იგი სავსებით პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სტანდარტის მოთხოვნას. სახელმძღვანელოში კარგი ტექსტებია შესული, რომელიც ბავშვს ასწავლის და უვითარებს აზროვნებას, აძლევს განათლებას, აჩვევს პრობლემაზე ფიქრს, სწორედ ამ ნაწილში ვიყენებ ამ სახელმძღვანელოს, რადგანაც ეროვნულ გამოცდაზე, სავალდებულო ქართულში, წერაზე შემოდის უცხო ტექსტი. ეს სახელმძღვანელო ამ მხრივ კარგი მასალის მომცემია და კარგადაც ვიყენებთ. შესაძლებელია ვინმე შემოგვედავოს, რომ მასწავლებლისთვის ამოსავალი უნდა იყოს სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი. ამ სახელმძღვანელოთი კი შესაძლებელია სტანდარტზე გასვლა, რა აუცილებელია მაინცდამაინც მივყვეთ გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას. საკითხის ასე დასმა, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანია. მაგრამ საქმე ისაა, რომ მშობლის დაკვეთაა სხვაგვარი – იგი ითხოვს მისმა შვილმა შეძლოს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და ეს ცოდნა მიიღოს სკოლაში, რაც ასევე ბუნებრივი და სამართლიანი მოთხოვნაა. თუ ჩვენ ფეხს არ ავუწყობთ (სწორია თუ არა ასეთი მიდგომა ეს სხვა თემაა) საზოგადოების დაკვეთას, ეს გამოიწვევს მეთორმეტე კლასის მასიურ დაცლას. აქედან გამომდინარე, პედაგოგები ძალიან სერიოზული ვალდებულების წინაშე ვდგავართ, ერთი მხრივ, აუცილებლად გავითვალისწინოთ ეს დაკვეთა, მეორე მხრივ, აუცილებლად შევასრულოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნა. ალბათ, შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ისე მოდერნიზება, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ეს ორივე მხარე გათვალისწინებულ იქნეს. სახელმძღვანელოში არის ამის რესურსი. მე, მაგალითად, მეთორმეტე კლასის სასწავლო გეგმა ისე მქონდა გაწერილი, რომ, ძირითადად, საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას გავდიოდით. ამან ის გამოიწვია, რომ ბავშვების უმრავლესობამ არ შეიძინა ეს თავისთავად ძალიან კარგი სახელმძღვანელო.

აი, ასეთია დღეისათვის ჩვენი საზოგადოების მიდგომა. დროთა განმავლობაში ალბათ შეიცვლება ეს დამოკიდებულება. ევროპული განათლების სისტემაში ხომ მესამე საფეხურზე სწავლას მხოლოდ ის ახალგაზრდები აგრძელებენ, რომელთაც გამორჩეული გონებრივი შესაძლებლობები და საუნივერსიტეტო განათლების მიღების სურვილი აქვთ. სამწუხაროდ, საქართველოში სხვა მენტალიტეტი მუშაობს. კარგია, რომ წელს ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის საგნობრივ პროგრამაში გაჩნდა ასეთი ფრაზა – მესამე საფეხურზე სწავლა განაგრძოს საუნივერსიტეტო განათლების სურვილის მქონე ახალგაზრდამ. ვფიქრობ, ეს სწორი მიდგომაა. ხომ შეუძლებელია, რომ უმაღლეს განათლებას ალტერნატივა არ ჰქონდეს. ალბათ, პროფესიული და სახელობო განათლებითაც დაინტერესდება ჩვენი მოსწავლეების გარკვეული ნაწილი, განიტვირთება მრავალრიცხოვანი კლასები, რაც ხარისხიანი განათლებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მაშინ მასწავლებელი მართლაც შეითავსებს რეპეტიტორის ფუნქციას, რაც ასე მძიმე ტვირთად აწევს მშობლების დიდ ნაწილს. წელს მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ მეთორმეტეკლასელებისთვის სკოლაში სიარული დროის კარგვა არ ყოფილიყო და ნაწილობრივ მივაღწიეთ კიდეც. მეთორმეტეკლასელს სკოლაში სიარულისთვის მოტივაცია სჭირდება, მან აქ უნდა მიიღოს ეროვნულ გამოცდებზე წარმატებისათვის აუცილებელი ცოდნა. ამას თუ ისიც დაემატება, რომ მესამე საფეხურზე სწავლას მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების მსურველები გააგრძელებენ, ვფიქრობ, სკოლა დაიბრუნებს თავის უპირველეს ფუნქციას და მეთორმეტე კლასის არსებობაც სავსებით გამართლებული იქნება.

მშობლის სურვილია, შვილი სკოლაში იღებდეს ისეთ ცოდნას, რომ დამატებითი მომზადების გარეშე შეძლოს ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება

თბილისის №20 საჯარო სკოლა

მზია ბოლქვაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მეთორმეტე კლასის მასწავლებელი არ გახლავართ, მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ როდესაც არ არის პროგრამაში შესული აკაკი წერეთლის ძალიან ბევრი ნაწარმოები, ალექსანდრე ყაზბეგის არც ერთი ნაწარმოები, ასეთი პროგრამა ვერ იქნება სრულყოფილი. რატომ არ უნდა ვასწავლოთ ეს მწერლები და რატომ უნდა ვასწავლოთ უცხოელი მწერლები, რომლის საწინაღმდეგო არაფერი მაქვს, მართლაც სასიამოვნო საკითხავია. თუ მეთორმეტე კლასის ქართულის სახელმძღვანელოს სრულყოფილად გაივლის მოსწავლე, ნამდვილად ძალიან

თუ მესამე საფეხურზე სწავლას მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების მსურველები გააგრძელებენ, ვფიქრობ, სკოლა დაიბრუნებს თავის უპირველეს ფუნქციას და მეთორმეტე კლასის არსებობაც სავსებით გამართლებული იქნება

მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოდან გამიჭირდება ნაწარმოების დასახელება, რომელიც შესულია მისაღები გამოცდების პროგრამაში

ინტელექტუალურ ბავშვთან გვექნება საქმე, მაგრამ რამდენად რეალურია?! ჩემი აზრით, ცოტა მოუმზადებელი იყო მეთორმეტე კლასის შემოტანა სასწავლო პროგრამაში. ჯერ უნდა დაწერილიყო საამისო პროგრამები, რადგან არსებული პროგრამით ბევრს ვერაფერს აკეთებენ, ყოველ შემთხვევაში, მეთორმეტე კლასის პროგრამა უფრო მეტად დამუშავებული უნდა ყოფილიყო. სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოსაზრება მინდა გამოვთქვა, ქართულში კონკრეტული მასალა არ არის მითითებული, ანუ იქ არის ყურადღება გამახვილებული უნარ-ჩვევების შეძენაზე, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს თითოეულ კლასში. პირადად ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, ასეთი სახით მოწოდებული პროგრამა ძალიან მოუხერხებელია, კიდევ გავიმეორებ, ნაწარმოებები არ არის მითითებული. ფაქტობრივად, სახელმძღვანელო უნდა აარჩიო იმის მიხედვით, რომელიც მეტად მოგერგება, მეორე მხრივ, სკოლის ფარგლებში, პარალელურ კლასებში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო უნდა იყოს არჩეული, ამითაც კი გზღუდავენ, რადგან ხომ შეიძლება მე და ჩემი კოლეგების გემოვნება არ ემთხვეოდეს, ჩვენს სკოლაში ასეც არის. ასე რომ, თითქოს გაძლევენ ამ თავისუფლებას და თან გზღუდავენ. თუნდაც ჩამონათვალი მაინც უნდა არსებობდეს იმ ნაწარმოებებისა, რომელთა სწავლებაც აუცილებელი იქნება. როცა მეათე კლასის სახელმძღვანელოს ადგენს ავტორი, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოების გარკვეული მონახაზი უნდა არსებობდეს. სასურველია, თუკი ქართულ ლიტერატურაზე მეტად გადავერთვებით. და კიდევ, აუცილებლად უნდა იყოს კოორდინაცია შეფასების ეროვნულ ცენტრსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს შორის. ამ შემთხვევაში, მეტად იქნება გამართლებული მეთორმეტე კლასის არსებობა.

ცოტა მოუმზადებელი იყო მეთორმეტე კლასის შემოტანა სასწავლო პროგრამაში. ჯერ უნდა დაწერილიყო საამისო პროგრამები, რადგან არსებული პროგრამით ბევრს ვერაფერს აკეთებენ

თამრიკო ჭელიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ჩემი აზრით, მეთორმეტე კლასის ქართულის სახელმძღვანელო კარგი კლასგარეშე საკითხავი წიგნია. აუცილებელი პირობაა – მეთორმეტე კლასის პროგრამა მისაღები გამოცდების პროგრამას შეესაბამებოდეს. ძალიან ბევრი ნაწარმოები, რომელიც შესულია მისაღები გამოცდების პროგრამაში, არ ისწავლება სკოლაში, არადა, სასურველია, სწორედ ამ საკითხებით იყოს შევსებული სახელმძღვანელოები. მეთორმეტე კლასში სწავლება დავიწყე „შუშანიკის წამებით“ და მოვყევი ბოლომდე, ანუ მხოლოდ მეთორმეტე კლასის პროგრამით არ მისწავლებია. სახელმძღვანელოს პარალელურად, მოსწავლეებს მისაღები გამოცდებისათვის ვამზადებდი. მეთორმეტე კლასი ასეც უნდა იყოს – მოსამზადებელი კლასი. რაც შეეხება გრამატიკას, დავიწყე მეექვსე კლასის გრამატიკიდან და გავიმეორეთ ბოლომდე. მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოდან გამიჭირდება ნაწარმოების დასახელება, რომელიც შესულია მისაღები გამოცდების პროგრამაში, ასეთ შემთხვევაში, რთულია ისაუბრო იმაზე, თუ რამდენად არის გამართლებული მეთორმეტე კლასი არსებული პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

ლალი მაისურაძე, გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ჩვენი სკოლა გერმანული პროფილითაა და ამიტომ გვაქვს უფლება, ვასწავლოთ დამატებითი სახელმძღვანელოებით. პარალელურად, საერთო სახელმძღვანელოთი მაინც გავდივართ პროგრამას. თუმცა, გეტყვით იმასაც, რომ გერმანულის სახელმძღვანელო არ არის სრულყოფილი, საკმაოდ მწირია გრამატიკული მასალა, მარტო ლექსიკის მიწოდება ცოტა უხერხულია, გრამატიკის გარეშე ეს გარკვეული ამოვარდნაა, არ არის საერთო სისტემა შემუშავებული. გერმანული ენის პრინციპი მათემატიკას ჰგავს – სავარჯიშოებში თუ არ მოხდა ახალი გრამატიკული ელემენტის დამუშავება, რთულია მერე ეს გადაიტანო თემაში. თემატურად უცხო ენის სახელმძღვანელო არ არის ცუდი, სოციალური ტიპის თემები კარგად არის შერჩეული, ლექსიკაც საკმაოდ ნორმალურია, მაგრამ ჩვენ ამ სახელმძღვანელოს ვიყენებთ კვირაში მხოლოდ ერთხელ. გერმანულის გაკვეთილი ყოველდღე გვაქვს, სხვა სახელმძღვანელოთი ვსწავლობთ – მხარეთმცოდნეობით, ამიტომაც ჩვენ ამ სახელმძღვანელოს მოსწავლეებს ვახმართ მხოლოდ სოციალური ტიპის თემებისთვის. თუკი თორმეტი წელი სავალდებულოა, მაშინ უნდა იყოს ეტაპობრივად დაყოფილი. უმჯობესი იქნება მეთორმეტე კლასი მართლა მოსამზადებელი წელი გახდეს უფროსკლასელებისთვის. არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისაღები გამოცდების საკითხებთან თანხვედრა, ლექსიკის მიმართულებით, ნამდვილად არის – ძირითადად ლექსიკა ამაზეა აგებული, რასაც ვერ ვიტყვი გრმატიკაზე.

ნინო დგებუაძე, მათემატიკის მასწავლებელი: რაც შეეხება მათემატიკის სახელმძღვანელოს, ჩემი აზრით, საკმაოდ სუსტია. აღმოვაჩინე ამოცანები, რომლებსაც ვასწავლით მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასებში, მეათეშიც და მეთერთმეტეშიც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ავტორები არ იყვნენ მზად მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოს დასაწერად. სახელმძღვანელო არ შეესაბამება მისაღები გამოცდების დონეს. მთელი წელი გავდიოდით ამ სახელმძღვანელოთიც, მაგრამ პარალელურად გვიწევდა დამატებითი ტესტების მეცადინეობა, ტესტური მუშაობა აუიცლებელია იმისთვის, რომ მეთორმეტეკლასელები მოვამზადოთ მისაღები გამოცდებისთვის. მეთორმეტე კლასი, ვფიქრობ, პედაგოგებმა, მეტ-ნაკლებად საინტერესო სწორედ ამით გავხადეთ. მასალა ძალიან იოლია და განსხვავებული მისაღები გამოცდების მასალისაგან. არიან ბავშვები, რომლებიც არ აბარებენ მათემატიკას და პირიქით – მათთვის ვინც მათემატიკას არ აბარებს და მათემატიკა მხოლოდ უნარებისთვის სჭირდება საკმაოდ კარგი სახელმძღვანელოა, მაგრამ მათემატიკის ჩასაბარებლად გაცილებით უფრო მაღალი დონე და სირთულეა საჭირო.

ანა ზულიაშვილი, მათემატიკის მასწავლებელი: მეთორმეტე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში ახალი, თითქმის, არაფერია შესული, ისევ გამეორებაა იმ მასალისა, რომელიც წინა კლასებში ვასწავლეთ. საერთოდ, არა მარტო მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოს ვგულისხმობ, მხოლოდ სახელმძღვანელოთი ბავშვს ვერ მოამზადებ მისაღები გამოცდებისთვის, გვიწევს დამატებითი მასალის სწავლება. მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში არის ძალიან საჭირო ამოცანები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ვფიქრობ, რომ ავტორები არ იყვნენ მზად მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოს დასაწერად. სახელმძღვანელო არ შეესაბამება მისაღები გამოცდების დონეს

მოამზადეს
ანა ფირცხალაიშვილმა, ლალი ჯელაძემ

მეთოდიკა

კოგნიტური განვითარების თეორია და კოგნიტური სქემების სასწავლო პროცესში პრაქტიკულად გამოყენების ასპექტები

ახალი საგნობრივი პროგრამების მიხედვით, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ,,განვითარებისა და სწავლის თეორიების“ საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ჩვენი მასალა. მასში წარმოდგენილია კოგნიტური განვითარების თეორიის სწავლებაში პრაქტიკულად გამოყენების ასპექტები. ***ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკრის“*** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, სკოლის პარტნიორმა ორგანიზაციამ „ლიბო MNT“ ჩაატარა სემინარი თემაზე: “განვითარებისა და სწავლების თეორიები”. მას პრაქტიკული გამოხმაურება მოჰყვა სკოლის პროფესიული განვითარების ცენტრში. სკოლის პედაგოგები, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკის შეჯერების შედეგად შეძენილ საინტერესო გამოცდილებას ინტენსიურად უზიარებდნენ ერთმანეთს.

გვსურს შემოგთავაზოთ, პრაქტიკოსი პედაგოგების მიერ მომზადებული მასალები შემდეგ საკითხებში:

- კოგნიტური განვითარების თეორია და კოგნიტური სქემების სასწავლო პროცესში პრაქტიკულად გამოყენების ასპექტები;
- ვიგოტსკის თეორია და განმავითარებელი შეფასება;
- კოლბერგის მორალური განვითარების თეორია და სხვადასხვა თემებისა და ღირებულებებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების მართვა.

შვეიცარიელი ფსიქოლოგის – **ჟან პიაჟეს** (1896-1980) თეორიისათვის ამოსავალია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განვითარების პროცესში ბავშვი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოს ზეგავლენაზე, არამედ, აქტიურად მოქმედებს და იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს გარემოსთან შეგუების პროცესში. ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნება ვითარდება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვების თვალსაზრისით, არამედ თავისებურად იცვლება თვით შემეცნების პროცესიც.

პიაჟეს მიხედვით, ინფორმაციის გადამუშავება შემეცნებითი სტრუქტურის – სქემების საშუალებით ხდება.

სქემები არის ინფორმაციის მიღების, შენახვის, გარდაქმნის შინაგანად არსებული ჩარჩოები

მსურს, გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება კოგნიტური სქემების გამოყენების ასპექტებზე:

სქემებით სასწავლო პროცესის დატვირთვა ეხმარება მოსწავლეებს დასამუშავებელ მასალაში მოწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში;

სქემებით მუშაობისას მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, კონცეპტისა და დეტალების ურთიერთმიმართებების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში უწყობს მათ ხელს. ამიტომაც, ხშირად ამ სქემებს კოგნიტურ დიაგრამებს უწოდებენ.

საკმაოდ ფართოა კოგნიტური სქემების გამოყენების არეალი:



- **კოგნიტური სქემები მოსწავლეებს ეხმარება:**
  - ინფორმაციის მწყობრად ორგანიზებაში;
  - ინფორმაციის გაანალიზებაში;
  - უვითარებს ვიზუალურ აღქმას;
  - უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას.

კოგნიტური სქემები მასწავლებლებს ეხმარება:

- კოგნიტური სქემების გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააქტიუროს წინარე ცოდნა;
- კოგნიტური სქემების გამოყენებით ხსნის ახალ მასალას;
- ზედმიწევნითი კონკრეტულობით აჯამებინებს მოსწავლეებს ათვისებულ მასალას;
- მოსწავლეს შეუქმნას ისეთი სასწავლო გარემო, როდესაც ის მოვლენას აანალიზებს;
- ეხმარება პედაგოგს მოსწავლის პროგრესის, მისი აკადემიური მოსწრების აღნუსხვაში და შეფასებაში.

გთავაზობთ რამდენიმე კოგნიტურ სქემას, რომელიც წარმატებით გამოვიყენე ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილებზე, მაშინ, როდესაც გავდიოდი ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებს „სარჩობელაზედ“

მონაკვეთის ორგანიზება

კლასი: VI
ნაწარმოები: ი. ჭავჭავაძე „სარჩობელაზედ“, თავი I
მონაკვეთის სახელწოდება: პეტრე – გაქურდული მასპინძელი
საკითხი: გაქურდული პეტრეს რეაქცია

რიცხვი	დავალება	მონაკვეთის არსი/ძირითადი აზრი
28.01. 09	შეავსეთ შემოთავაზებული ცხრილი.	• პეტრეს რცხვენია იმისა, რომ გაქურდეს. • გაქურდული მასპინძლის რეაქციის ძირითადი საკითხები.

გაოცება	დაცინვის შიში	ქურდების დალოცვა	თაკილი	სიბერის აღიარება
„უსუსურმა ბავშვმა გამქურდა”	*„ვისაც ვეტყვი დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქავენ”*	*„ღმერთმა იმათ კი შეარგოთ...”*	*„იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! – თქვა ღიმილითა და თაკილით პეტრემ”*	*„აი, დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი მშვილდი ძირს უნდა დავდო... დავბერდი, დავჩანაკდი...”*

მოვლენა და მისი გამომწვევი მიზეზები

კლასი: VI
ნაწარმოები: ი. ჭავჭავაძე, „სარჩობელაზედ“

მიზეზები	*ბავშვებს მამა გარდაეცვალა. დედა გათხოვდა, ქალაქში გადასახლდა, უპატრონოდ დაყარა მცირეწლოვანი შვილები. მამინაცვალმა ქონება წაართვა გერებს – ცარიელზე დასვა. დედა, მამინაცვალი, შინამოსამსახურე – ვისაც კი შეეძლო სცემდნენ ობლებს.*
	წამოზრდილი გერები მამინაცვალმა თავიდან მოიშორა – მიაბარა სამხედრო სკოლაში თუქურმიშაზე, ვაიდან ვუიში ჩაყარა. ვერ აიტანეს ცემა-ტყეპა და გამოიქცნენ.
	დარჩნენ ობლები უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ყველა ხედავდა, რომ ძარცვავდნენ, მაგრამ არავინ გამოესარჩლა, არავინ მიეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ერთხელაც ასაკლებად მიუვარდნენ მამინაცვალს..
მოვლენა	*გერს მამინაცვალი შემოაკვდა.*

ამბის შინაარსის ორგანიზებისათვის

კლასი: VI
ნაწარმოები: ი. ჭავჭავაძე, „სარჩობელაზედ“

ადგილი: *ლოჭინის ხეობა*		**მოქმედი პირები:** *პეტრე და მისი ვაჟი, ძმები, მეურმეები, ქალაქელები, ჯალათი, მღვდელი.*
თემა/პრობლემა: *საზოგადოებისაგან გარიყული ყმაწვილები*		
დასაწყისი: *გაქურდული მასპინძელი*	**შუა ნაწილი:** *კაცის ჩამოხრჩობა*	**დასასრული:** *წერილი*
საბოლოო შედეგი: *საზოგადოებრივი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა ახალგაზრდას დამნაშავედ აყალიბებს.*		

ასევე მსურს შემოგთავაზოთ, რამდენიმე კოგნიტური სქემა და გაგიზიაროთ, რა მიზნით შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. რაში ეხმარება იგი მოსწავლეს?

მიზეზ-შედეგობრიობის რუკა

მიზეზი:	**მოვლენა:**	**შედეგი:**
მიზეზი:		**შედეგი:**
მიზეზი:		**შედეგი:**

მოვლენა და შედეგები

მოვლენა:	**შედეგი:**
	შედეგი:
	შედეგი:

კოგნიტური სქემის დასახელება	რა მიზნით იყენებს მასწავლებელი?	რაში ეხმარება მოსწავლეს?
ამბის/შინაარსის ორგანიზების სქემა	ზედმიწევნითი კონკრეტულობით აჯამებინებს მოსწავლეებს ათვისებულ მასალას	გაიხსენოს პერსონაჟები, მოქმედების ადგილი. დაინახოს პრობლემის დინამიკა და შედეგი.
მოვლენა და შედეგები	კოგნიტური სქემების გამოყენებით, ხსნის ახალ მასალას	ინფორმაციის გაანალიზებაში.
მიზეზ-შედეგობრიობის რუკა	ეხმარება პედაგოგს მოსწავლეს შეუქმნას ისეთი სასწავლო გარემო, როდესაც ის ამა თუ იმ მოვლენას აანალიზებს	მოვლენის/პრობლემის გააანალიზებაში (გაანალიზონ ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზები და მოვლენის შედეგები).

ქეთევან დევაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,
ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარი“,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

მეთოდიკა

ბიოლოგიის გაკვეთილი. VII კლასი

გაკვეთილის თემა: თევზის შინაგანი აგებულება (ჩონჩხი, საჭმლის მომნელებელი სისტემა, სუნთქვის სისტემა, სისხლის მიმოქცევის სისტემა).

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს თევზის ჩონჩხის დახასიათება, ჩამოთვალოს საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოები, იმსჯელოს მონელების პროცესის შესახებ, დაახასიათოს სუნთქვის პროცესი, აღწეროს სისხლის მიმოქცევის სისტემა.

გამოყენებული მასალა: პლაკატები – „თევზის ჩონჩხი“, „თევზის საჭმლის მომნელებელი სისტემა“, „თევზის სისხლის მიმოქცევის სისტემა“, ფურცლებზე ამობეჭდილი ტექსტები, თაბახის ფურცლები, კროსვორდი.

გაკვეთილის დრო: 45 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილს საშინაო დავალების შემოწმებით დავიწყებ. მოსწავლეებს შევთავაზებ კითხვებს:

1. რომელი ნაწილებისგან შედგება თევზის სხეული?
2. რით არის თევზის სხეული დაფარული?
3. როგორი ფორმა აქვს თევზის სხეულს?
4. რომელი გრძნობათა ორგანოები აქვს თევზს?
5. რა ფუნქციას ასრულებს გვერდითი ხაზი?
6. როგორ მოძრაობს თევზი?
7. რა ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა ფარფლები?
8. როგორ არის თევზის სხეული წყალში ცხოვრებას შეგუებული?
9. როგორი ფორმისაა სკაროსის სხეული?
10. როგორ არიან შეგუებულნი სკაროსი და ზღვის ეშმაკი ღრმა ფენებში არსებობას? (10 წთ.)

აღნიშნული კითხვების საშუალებით მოვახდენ მოსწავლეთა შეფასებას.

საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ ვიწყებ ახალი მასალის წარდგენას. მოსწავლეებს ვეტყვი, რომ ჩვენ ვაგრძელებთ თევზის ორგანიზმის შესწავლას და განვიხილავთ მის შინაგან აგებულებას. შემდეგ კლასს დავყოფ 4 ჯგუფად, დავურიგებ ფურცლებს წინასწარ მომზადებული ტექსტებით. მივცემ შესაბამის პლაკატებს. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ ტექსტი და წარუდგინონ სხვა ჯგუფის წევრებს, მოიფიქრონ ტექსტიდან გამომდინარე კითხვები (6 წთ.).

პრეზენტაციები (10 წთ.).

ტექსტი №1. თევზის ჩონჩხი

თევზის ჩონჩხის ძირითად ნაწილს ხერხემალი წარმოადგენს, რომელიც ზურგის მხარეს, თავიდან კუდის ბოლომდე მდებარეობს. ხერხემალი პატარა ძვლებისგან – მალებისგან შედგება, რომლებიც ერთ რიგადაა განლაგებული და ერთმანეთს მოძრავად უერთდება. ხერხემალში ორ ნაწილს – ტანის და კუდის განყოფილებებს ასხვავებენ. თავის მხრივ, თითოეული მალა მალის სხეულისა და ზედა რკალისგან შედგება. მალების ზედა რკალები წარმოქმნიან მილს, რომელსაც ხერხემლის არხს უწოდებენ. მასში ზურგის ტვინია მოთავსებული. მალებზე მიმაგრებულია ნეკნები, ნეკნების მეორე ბოლო თავისუფალია, ამიტომ ხელს არ უშლის თევზის სხეულის გაფართოებას საკვების მიღების ან საცურავი ბუშტის მოცულობის გაზრდის დროს.

ხერხემლის წინა ნაწილთან შეერთებულია თავის ქალა. გარდა აღნიშნულისა, თევზს აქვს ფარფლების ჩონჩხიც, რომელსაც ცურვისას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ტექსტი №2. თევზის საჭმლის მომნელებელი სისტემა

თევზის საჭმლის მომნელებელი სისტემა პირის ღრუთი იწყება. თევზების უმრავლესობას კბილები არა აქვს და ისინი საკვებს მთლიანად ყლაპავენ, ზოგიერთ თევზს კი კბილები აქვს (მაგალითად, ზვიგენი), თუმცა კბილები მხოლოდ საკვების დაგლეჯას ემსახურება, ღეჭვა თევზს არ შეუძლია.

პირიდან საკვები საყლაპავ მილში გადადის, შემდეგ – კუჭში. კუჭში იწყება საკვების მონელება. კუჭიდან საკვები ნაწლავში გადადის. ნაწლავებში გრძელდება მონელების პროცესი. ნაწლავების კედლიდან სისხლში შეიწოვება ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებები, ხოლო მოუნელებელი ნარჩენები უკანა ხვრელით გარეთ გამოიყოფა. ნაწლავის წინა ნაწილთან მდებარეობს ღვიძლი, რომელიც ნაღველს გამოიმუშავებს. ნაღველი მომნელებელ ნივთიერებებს შეიცავს, ჯერ ნაღვლის ბუშტში გროვდება, შემდეგ კი სადინარით ნაწლავში ჩაედინება და მონელების პროცესში მონაწილეობს.

ტექსტი №3. სისხლის მიმოქცევის სისტემა

თევზის სისხლის მიმოქცევის ძირითადი ორგანოა გული, რომელიც ორი ნაწილისგან – წინაგულისა და პარკუჭისგან შედგება. სისხლი თევზის სხეულში, გულის საშუალებით, მოძრაობს სისხლძარღვებში და ნაწლავებიდან წამოღებული საკვები და ლაყუჩებში მიღებული ჟანგბადი მიაქვს ყველა ორგანოსთან. თევზს სამი სახის სისხლძარღვები აქვს: ვენები, არტერიები და კაპილარები. თევზის სხეულში სისხლი მოძრაობისას ერთ წრეს შემოივლის, ამიტომ ამბობენ, რომ თევზს სისხლის მიმოქცევის ერთი წრე აქვს. ლაყუჩების კაპილარებში გავლისას სისხლი თავისუფლდება ნახშირორჟანგისგან და ჟანგბადით მდიდრდება. სისხლი თევზის ორგანიზმში ამგვარად მოძრაობს: პარკუჭიდან სისხლი ლაყუჩებისკენ მიედინება, იქიდან მთლიან სხეულს მიეწოდება ჟანგბადი, შემდეგ სისხლი იკრიბება ვენებში და წინაგულში ჩაედინება, წინაგულიდან კი პარკუჭში ხვდება. თევზის გული ნელა მუშაობს, იგი ერთი წუთის განმავლობაში 20-ჯერ იკუმშება, შესაბამისად, თევზის სისხლიც ნელა მოძრაობს.

ტექსტი №4. სუნთქვა

თევზს სხეულის ორივე მხარეს, თავის და ტანის საზღვარზე, აქვს ლაყუჩები, რომლებიც სასუნთქ ორგანოს წარმოადგენს. ლაყუჩები თევზების უმრავლესობას ძვლოვანი ფირფიტით – ლაყუჩის სახურავით აქვს დაფარული. თუ თევზს დავაკვირდებით, იგი მუდმივად აღებს და ხურავს პირს, ამავე დროს იღება და იხურება ლაყუჩის სახურავებიც – ეს გახლავთ სუნთქვითი მოძრაობები. ჟანგბადით მდიდარი წყალი პირის ღრუდან ლაყუჩებისკენ მიედინება, ჟანგბადი კაპილარებში გადადის, იქიდან კი წყალში ნახშირორჟანგი გამოიყოფა. თევზის სუნთქვითი მოძრაობები იწვევს ლაყუჩებში წყლის მუდმივ მოძრაობას, რითიც ხორციელდება სხეულის ჟანგბადით უზრუნველყოფა. პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეები პლაკატებზე პოულობენ სხვადასხვა სისტემების ორგანოებს. პასუხს გავცემთ ჯგუფების მიერ შედგენილ შეკითხვებს (6 წთ.).

შემდეგ კლასს მივმართავ, რომ თევზის სხეულის ტემპერატურა მუდმივი არ არის და გარემოს ტემპერატურაზეა დამოკიდებული, ამიტომაც თევზებს ცივსისხლიან ცხოველებს უწოდებენ. მოსწავლეებს ვთხოვ, იმსჯელონ, რა განაპირობებს თევზების ცივსისხლიანობას.

იმართება დისკუსია (3 წთ.).

მივდივართ დასკვნამდე, რომ წყალში, ჰაერთან შედარებით, ჟანგბადის შემცველობა მცირეა, ამიტომ სისხლი ჟანგბადს ნაკლები რაოდენობით იღებს, გარდა ამისა, თევზის სისხლი ნელა მოძრაობს, ამის გამო სხეულში ჟანგვის პროცესები ნელა მიმდინარეობს და თევზის ტემპერატურა არ არის მაღალი.

დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს ვეტყვი, რომ თევზს აქვს ერთი განსაკუთრებული ორგანო – საცურავი ბუშტი, რომელიც მას ცურვაში ეხმარება. ბუშტი საყლაპავი მილისგან არის განვითარებული და აირებითაა გავსებული. თევზს სურვილისამებრ შეუძლია შეკუმშოს და გააფართოვოს ბუშტი. თუ ბუშტი შეკუმშულია, თევზის სხეულის მოცულობა მცირდება, იგი მძიმდება და წყლის სიღრმეში ჩადის, ხოლო ბუშტის გაფართოებისას თევზის სხეული მსუბუქდება და თევზი ზემოთ ამოდის. საცურავი ბუშტი ყველა თევზს არა აქვს, მაგალითად, ფსკერზე მობინადრე თევზებს, ზვიგენს (2 წთ.).

გაკვეთილის შეჯამების მიზნით მოსწავლეებს ვთხოვ, შეავსონ კროსვორდი. გამუქებულ უჯრებში შვეულად ვიღებთ თევზის ხელოვნური საბინადრო გარემოს სახელს.

					6 ლ	ა	ყ	უ	ჩ	ი			
					4 ს	კ	ა	რ	ო	ს	ი		
					3 თ	ვ	ა	ლ	ი				
2 თ	ი	თ	ი	ს	ტ	ა	რ	ა	ს	ე	ბ	რ	ი
				1 ქ	ე	რ	ც	ლ	ი				
			9 პ	ი	რ	ი							
					5 გ	უ	ლ	ი					
	7 ხ	ე	რ	ხ	ე	მ	ა	ლ	ი				
	8 ღ	ვ	ი	ძ	ლ	ი							

1. რით არის დაფარული თევზის სხეული?
2. როგორი ფორმა აქვს თევზის სხეულს?
3. თევზის მხედველობის ორგანო.
4. ღრმა წყლების ბინადარი თევზი.
5. თევზის სისხლის მიმოქცევის ძირითადი ორგანო.
6. თევზის სასუნთქი ორგანო.
7. თევზის ჩონჩხის ძირითადი ნაწილი.
8. თევზის საჭმლის მომნელებელი ჯირკვალი.
9. რომელი ორგანოთი იწყება თევზის საჭმლის მომნელებელი სისტემა?

პრეზენტაციები (4 წთ.).

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს მივცემ საშინაო დავალებას.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გაეროს საერთაშორისო სკოლა

სკოლა „სარკმელის“ მეხუთეკლასელებმა (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნორა დავლაშერიძე), ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ შესწავლის შემდეგ დაწერეს მცირე ზომის ლიტერატურული ჩანახატები. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

მოცეკვავე თაგუნა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი თაგვი. ამ თაგვს ძალიან უყვარდა კერვა და მკერავი გამოვიდა.

ერთხელ მან შეკერა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი კაბა და ფეხსაცმელი. წაიღო გასაყიდად. კაბა მალე გაყიდა. თუ იცით, ვინ იყიდა? ის იყიდა ყველაზე მდიდარმა ადამიანმა, უფრო სწორად თაგვმა. როცა კაბა ჩაიცვა, მაშინვე ცეკვა დაიწყო და არ გაჩერებულა. მან ცეკვით გაითქვა სახელი. მკერავი თაგვი კი გამდიდრდა.

ირინე კიკავა

კოკი

მე კოკი ვარ. ძალიან ცუგრუმელა ძაღლი. მე სადაც ვცხოვრობ, იქ ერთი გოგოა, თიკო ჰქვია. მას ძალიან ვუყვარვარ. სულ მასთან ვთამაშობ.

ერთხელ თიკომ დამბანა და ისე მციოდა, რომ ჩავეხუტე, არ ვშორდებოდი. მაისური დავუსველე. როცა მბანენ, თბილი წყალი და ქაფი ძალიან მსიამოვნებს, თუმცა დაბანის დროს ერთხელ მაინც ვცადე გაქცევა, მაგრამ დამიჭირეს.

მე ძალიან მიყვარს თამაში, ხტუნაობა და თიკო. მე ის მუდამ მეყვარება.

თიკო პარწიკანაშვილი

ტანისამოსი, რომელიც არ ჩერდება

იყო და არა იყო რა. იყო ერთი კაბა, რომელიც ყველა გოგონას ძალიან მოსწონდა. ეს ლამაზი კაბა ძალიან ძვირფასი იყო და ამასთანავე, ძვირიც ღირდა. ღარიბებს მისი ყიდვა არ შეეძლოთ.

ერთ დედოფალს ჰყავდა პრინცესა, რომელიც არასოდეს არ მხიარულობდა და უჟმურად ცხოვრობდა. ამის გამო იგი არავის უყვარდა და ყურადღებასაც არავინ აქცევდა. როგორც ყველა გოგონას, ამ გოგოსაც მოეწონა კაბა. კაბას საიდუმლო ჰქონდა, ვინც მას ჩაიცვამდა, აცეკვდებოდა და გამხიარულდებოდა. ეს ამბავი პრინცესამ არ იცოდა, მან იყიდა კაბა. ჩაიცვა თუ არა, გამხიარულდა და აცეკვდა. ამ კაბის გარდა აღარ უნდოდა. ის დადიოდა სამეფოს ქუჩებში და ცეკვავდა, რატომღაც არ იღლებოდა. მისმა ცეკვამ ყველა ბიჭი მოხიბლა. მან ამ სამეფოდან ყმაწვილი ამოირჩია, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და ერთად ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

თიკო პარწიკანაშვილი

ცხოველთა მეგობრობა

ეს ამბავი, დიდი ხნის წინ, ერთ ტყეში მოხდა. ამ ტყეში სხვადასხვა ცხოველი მეგობრულად ცხოვრობდა. ერთხელ ტყეში ბოროტი მონადირე სანადიროდ წავიდა. დაინახა მშვენიერი შველი, რომელიც მშვიდად ბალახს ძოვდა, რადგან არაფრის ეშინოდა. მონადირემ იარაღი მოიმარჯვა და შველს დაუმიზნა, იქვე ხეზე მჯდომმა პატარა ჩიტმა დაინახა მონადირე. მიხვდა, რომ შველს საფრთხე ემუქრებოდა. აფრინდა ჩიტი, მონადირეს წინ აუფრინა, მონადირემ ააცდინა შველს. შველი გაიქცა. გაბრაზდა მონადირე, ახლა ჩიტს დაუმიზნა იარაღი. ყველაფერ ამას ნაძვზე მჯდომი ციყვი უყურებდა. ახლა ის ჩამოხტა ხიდან და პირდაპირ მონადირეს დაახტა თავზე. მონადირემ ისევ მარცხი განიცადა და გაბრაზებულმა ციყვის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ტყის ბინადარნი ერთმანეთს ხიფათისაგან მუდამ იცავდნენ. დაუღამდა მონადირეს, მაგრამ ერთი პატარა ჩიტის მოკვლაც ვერ შეძლო. ჩამოჯდა იქვე ხის მორზე. მოათვალიერა ირგვლივ და გაოცდა ბუნების სილამაზით. ყური დაუგდო ტყის ხმაურს და მოიხიბლა ფრინველთა და ცხოველთა ხმათა მრავალფეროვნებით.

მიხვდა მონადირე, არ შეიძლებოდა ამ სილამაზისა და ცხოველთა მეგობრობის განადგურება. ის ხელცარიელი, მაგრამ მშვიდი და ბედნიერი დაბრუნდა სახლში. მას შემდეგ მას აღარასოდეს უნადირია.

მარიამ ქარქუსაშვილი

თუთიყუშის ნაამბობი

ერთი პატარა თუთიყუში ვარ. რაც თავი მახსოვს გალიაში ვცხოვრობ, ამ პატარა სახლში ვარ ჩაკეტილი და გალიის გარეთ არ მიშვებენ. მართალია საჭმელ-სასმელი, სითბო არ მაკლია, მაგრამ მაინც გარეთ მინდა ყოფნა. თავისუფლად ფრენა, არემარეს ზემოდან მინდა დავცქეროდე, ჩემი მოდგმის ნახვა და მათთან ფრენა მსურს. ვიცი, გარეთ საფრთხე მემუქრება, მაგრამ მე მაინც თავისუფლება მინდა. მინდა, გული ვიჯერო ფრენით, ჭიკჭიკით, მაგრამ ვის ესმის ჩემი დარდი...

ერთხელ მზიანი დღე იყო, პატრონს გალიის კარი ღია დარჩა. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, გარეთ დავფრინავდი და არაფერზე აღარ ვფიქრობდი, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი ბედნიერება. დამიჭირეს და ისევ უკან, გალიაში, დამაბრუნეს.

არ მესმის, რად უნდათ ჩემი გამოკეტვა გალიაში. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ გამიშვან ბუნებაში, ამით მეც გავიხარებდი და მათაც გავახარებდი ჩემი ლაღი ფრენითა და ჭიკჭიკით.

იქნებ მიმიხვდნენ...

მარიამ ქარქუსაშვილი

კიკო და ლიკო

პაწაწინა ვარ, მეც ობოლი. ვცხოვრობ ერთ პატარა გალიაში. ბებერაშვილების ოჯახში. ჩემი მეგობრები არიან ნანო და გიორგი. განა მარტო ვცხოვრობ გალიაში, მეც მყავს გოგო. სახელად ლიკო ჰქვია. მე კი კიკო ვარ. ჩემი ცოლი ქვრივი იყო, ახლა კი მე ვარ მისი ქმარი.

ნინოსა და გიოს ჩვენი გამოკვება ავიწყდებათ. ვიდრე ჩვენი დედინაცვალი, თამუნა დედა, არ მოვა, იქამდე გვშია.

როცა კარგი ამინდი გამოვა, თამუნა დედიკო გარეთ, აივანზე დაგვკიდებს და პატარა სახლებს გავყურებთ.

ჩვენს ოჯახში ბევრი ცხოველია. განსაკუთრებით საძაგელია კატა ტომი. ბატონი მოიყვანს სხვა კაცებს, შემოძვრება კატა ტომი. შემორეკავს სხვა კატებს სამზარეულოში, გვაწვალებენ მე და ჩემს ცოლს, მაგრამ ჩვენი მცველი არის ძაღლი ჯერი. როცა აშვებულია, შემოვა დინჯად ჯერი და ყველას დაერევა.

ასე თენდება და ღამდება ჩემი დღეები. ახლაც თამაშის ხასიათზე ვარ.

როცა მოიცლით, მობრძანდით ჩვენს ოჯახში. ჩემი მისამართია: ჯანჯღავას ქუჩა, მეორე ჩიხი, №4. მე თქვენ გელოდებით. თამაშის ხასიათზე ვარ.

ნინო გეგერაშვილი

ჩიტის ნაამბობი

პატარა ვარ, ობოლი, დედა არა მყავს, არც მამა, არც და-ძმა, დავფრინავ მარტო, დავხეტიალობ, როცა დედ-მამა დამიხოცეს მონადირეებმა, სულ პატარა ვიყავი. ჯერ ფრენაც კი არ შემეძლო. მე ეს ამბავი არ ვიცოდი, რადგან ვერ გავფრინდებოდი, როცა ფრენა ვისწავლე, მაშინ მივხვდი და სულ ცრემლები მომდიოდა, როცა სხვა ჩიტები თავის მშობლებთან იყვნენ.

ხატია ჩიკვატია

ანასტასიას ოცნება

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგო, რომელსაც ანასტასია ერქვა. იგი ძალიან ღარიბი იყო. მას უნდოდა, რომ პრინცესა გამხდარიყო. ერთხელ დაესიზმრა ლამაზი ქალი, რომელმაც უთხრა: ხვალ გაიღვიძებ თუ არა, წახვალ სასახლეშიო. მართლაც წავიდა. პრინცს ძალიან ბევრი ხალხი ჰყავდა. დაინახა თუ არა პრინცმა ანასტასია, დანახვისთანავე შეუყვარდა. პრინცმა ანასტასია ცოლად შეირთო. ისინი ძალიან ბედნიერად ცხოვრობდნენ. ჰყავდათ ბავშვები. აი, ასე აუხდა ანასტასიას სურვილი.

სოფო აგლაძე

ლეკვი მიკის ნაამბობი

პაწაწინა ვარ, საყვარელი. დედა არ მყავს, მამა მყავს, მაგრამ სხვაგან. მე გავჩნდი თუ არა, სხვაგან წამიყვანეს, ჩემს ადამიან-პატრონებთან. მე იქ გახარებული ვიყავი, მაგრამ მერე წამიყვანეს რაჭაში. ძალიან მოწყენილი ვიყავი, მაგრამ ყოველ ზაფხულს ჩამოდიან პატრონები. როდესაც სტუმარი მოდის, ძალიან ვბრაზობ, ვყეფ, როდესაც მეთამაშება, სოფო ძალიან მსიამოვნებს. რაჭაში რომ წავედი, იქ ძალიან უცხოდ ვიყავი. მიკვირდა, სად ვარ-მეთქი, მაგრამ უკვე მივეჩვიე რაჭას. ჩემი პატრონი სოფო და სალი რომ ჩამოდიან, ვეთამაშები და ვეფერები. სოფოს ძალიან უყვარს მოფერება და თამაში. მე ძალიან მსიამოვნებს, როდესაც სოფო მეთამაშება. ცუგრუმელა ვარ. ძალიან მენატრება ჩემი პატრონი.

სოფო აგლაძე

მეთოდიკა

სახალისო ცდები ქიმიიდან

წამიერი ფოტოგრაფირება

რაიმე ჩარჩოზე თეთრი ნაჭერი გადაჭიმეთ. დაამზადეთ სამი ხსნარი სამ სხვადასხვა ჯამში: რკინის აჯასპისა – $FeSo_4$, ბისმუტის ნიტრატისა – $Bi(NO_3)_2$, და სპილენძის შაბიამნისა – $CuSo_4$. სამივე ეს მარილი სჯობს გამოხდილ წყალში გახსნათ, ჯერ კი კარგად გააფხვიეროთ ჯამში, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, თითოეული მარილის გაფხვიერების შემდეგ კარგად უნდა გარეცხოთ ფაიფურის ჯამიცა და ფილთაქვაც, რათა არ გააჭუჭყიანოთ ერთი ნივთიერება მეორის მინარევისაგან. სამივე ხსნარისთვის ცალ-ცალკე ფუნჯები აიღეთ და თეთრ ნაჭერზე რაიმე არართული ნახატი გააკეთეთ. ხსნარები ერთმანეთს არ უნდა შეეხოს ნაჭერზე. სჯობს, ერთი ხსნარით ნახატის გაკეთების შემდეგ ნაჭერი გააშროთ და მხოლოდ შემდეგ დახატოთ დანარჩენი ხსნარებით.

ნახატის დამთავრების შემდეგ დანამეთ იგი მდუღარე წყლის ორთქლზე გადატარებით და პულვერიზატორით მიასხურეთ ნივთიერება სისხლის წითელი მარილის ხსნარი – კალიუმის ფერიციანიდი $K_3[Fe(CN)_6]$.

რადგან ნახატი შესრულებულია (განზავების გამო) თითქმის უფერო მარილთა ხსნარებით, ნაჭერი შორიდან თეთრი გამოჩნდება. პულვერიზატორით სისხლის წითელი მარილის ხსნარის მისხურების შემდეგ ნახატი წამსვე აფერადდება: სადაც Fe^{2+} იყო, ლურჯი ფერი გაჩნდება, $Bi(NO_3)_2$-იანი ადგილი გაყვითლდება, ხოლო შაბიამნით შესრულებული ნახატი გაყავისფრდება. იცით რა რეაქციის შედეგები, შეარჩიეთ სათანადო ნახატი.

აქ გამოყენებული „საღებავები“ შეიძლება საიდუმლო წერილების საწერადაც გამოდგეს.

საიდუმლო წერილები

ა) თეთრ ქაღალდზე წვრილი ფუნჯით ან რეზინიანი პიპეტით თუ რაიმეს დაწერთ იგივე $FeSO_4$-ის, $CuSO_4$-ის ან $Bi(NO_3)_2$-ის ხსნარით და გააშრობთ, წარწერა უჩინარი დარჩება. შემდეგ კი, თუ კალიუმის ფერიციანიდის $K_3[Fe(CN)_6]$-ის ხსნარით დასველებულ ბამბას გადაუსვამთ ან პულვერიზატორით მივასხურებთ, წარწერა გამოჩნდება.

„საიდუმლო წერილებისათვის“ გამოსადეგი უამრავი ნივთიერება არსებობს.

ბ) გაგახსენებთ, რომ ჩვეულებრივი ლურჯი მელანი უფერო ტანინისა და ძალიან განზავებული რკინის აჯასპის ხსნარების შერევით მზადდება. აქედან გამომდინარე, თუ ტანინის უფერო ხსნარით დაწერთ წერილს, ქაღალდი ისეთივე დარჩება, თითქოს ზედ არაფერიც არ დაეწეროთ. მაგრამ, დაასველებთ თუ არა მას Fe^{2+}-იანი ხსნარით, წარწერა გამოჩნდება თეთრზე შავად.

იგივე მიზნისთვის შეგიძლიათ გოგირდწყალბადის ფერადი რეაქციები გამოიყენოთ. ხსნარებით ქაღალდზე წარწერის გაკეთება შეიძლება: ფრინველის ფრთით, მინის კაპილარით, გაწელილბოლოიანი პიპეტით, წვრილი ფუნჯით, რეზინიანი პიპეტით და სხვ.

გ) დაამზადეთ: ტყვიის აცეტატის $(CH_3COO)_2Pb$, მანგანუმის ქლორიდის $MnCl_2$, სტიბიუმის ქლორიდის $SbCl_3$ და კადმიუმის ქლორიდის $CdCl_2$ განზავებული ხსნარები. თითოეული ხსნარისთვის სხვადასხვა საწერი საშუალება (კალამი) გამოიყენეთ. ქაღალზე გააკეთეთ წარწერები. გაშრობის შემდეგ ქაღალდი თეთრი დარჩება, შეგიძლიათ ერთი წლის შემდეგაც კი გამოიყენოთ ეს ქაღალდი წარწერების გასამჟღავნებლად. ამისათვის საკმარისია ოდნავ დანამოთ ორთქლზე გადატარებით და დაიჭიროთ CaS კალციუმის სულფიდიანი ქილის თავზე. როგორც კი სახურავს ახდით I წარწერა გაშავდება (PbS) , II – ხორცისფერ-მოწითალო ფერს მიიღებს (MnS), III წარწერა ნარინჯისფერი გამოჩნდება (Sb_2S_3), ხოლო IV წარწერა – გაყვითლდება (CdS).

თუთიის სულფატის $ZnSO_4$ ნაჯერი ხსნარით გააკეთეთ წარწერა შავ ქაღალდზე და სანამ ბოლომდე გაშრებოდეს, ისიც გაამჟღავნეთ გოგირდწყალბადით, ისევე როგორც წინა ცდებში. შავ ფონზე მკვეთრი თეთრი ასოები გამოჩნდება. სულფიდებიდან ეს ერთადერთი თეთრი უხსნადი ნივთიერებაა ZnS.

რეაქციებს შემდეგი სახე ექნება:

$$CaS+2H_20=Ca(OH)_2+H_2S\uparrow$$

$$ZnSO_4+H_2S=ZnS\downarrow+H_2SO_4$$

მიღებული გოგირდწყალბადი სხვადასხვა ლითონებთან სხვადასხვა ფერად რეაქციებს იძლევა.

მოსწავლეებთან უამრავი მასალა შეგიძლიათ განიხილოთ ზემოთ ჩამოთვლილ რეაქციებთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა გოგირდწყალბადის გამოყენების უდიდეს მნიშვნელობაზე უნდა გააკეთოთ აქცენტი. H_2S არის ანალიზური ქიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეაქტივი. ვინაიდან H_2S თითქმის ყველა ლითონთან წარმოქმნის უხსნად ნალექს (და თანაც ფერადებს), ანალიზურ ქიმიაში მისი გამოყენება ლითონების აღმოჩენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს წარმოადგენს.

ანალიზური ქიმია ქიმიური განხრებიდან ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული დარგია. მას იყენებენ თვით ქიმიის ნებისმიერ სხვა დარგში: გეოქიმია, ბიოქიმია, ორგანული და არაორგანული ქიმია და სხვ. არ არსებობს არც ერთი საწარმო, სადაც ანალიზური ქიმია არ გამოიყენებოდეს.

რაც შეეხება საღებავებს. მისი ისტორია ისევე ძველია, როგორც პირამიდები, პირველყოფილი ადამიანების მიერ მღვიმის კედლებზე დატოვებული ნახატები და სხვ. უხსოვარი დროიდან იყენებს ადამიანი ფერად საღებავებს. მასწავლებელს აქაც შეუძლია, უამრავი საინტერესო ამბავი შესთავაზოს მოსწავლეებს და ამით ინტერესი გაუღვივოს თემის გარშემო წიგნებში და ინტერნეტში მასალის მოძიებისა.

მაგალითად, ერთ ნაწყვეტს მოგიყვებით ფრანგი სპელეოლოგის, ნორბერ კასტერეს ცხოვრებიდან.;

ერთხელ ამ მეცნიერმა, მიწის ქვეშ, მღვიმეში თავისი 6 წლის გოგონაც წაიყვანა. მას უნდოდა, ბავშვს ისევე შეჰყვარებოდა მღვიმეებში ხეტიალი, როგორც თვითონ უყვარდა. მეცნიერს ქუდზე ნათურა ჰქონდა დამაგრებული, შვილს კი ხელში ანთებული სანთელი მისცა და მხრებზე შეისვა. ასე გაუდგნენ გზას მღვიმის ბნელ დერეფანში. უცებ შვილმა უთხრა: „მამა, აქ კედელზე ფერადი ნახატებია, ნახე!“ მეცნიერს ძალიან გაუკვირდა, ვინაიდან ამ გვირაბში აქამდე არასოდეს შეუნიშნავს კედლის მხატვრობა. ქალიშვილმა კი, რადგან „მამაზე მაღალი“ იყო, დაინახა მაღლა დახატული ცხოველები და მონადირეები.

ნორბერ კასტერეს ამ აღმოჩენამ დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ისტორიამდელი საღებავების ქიმიზმის შესწავლაში, ასევე ამ გვირაბში ადამიანის არსებობის დათარიღებისათვის; მსოფლიოს ხელოვნებათმცოდნეებს კი მისცა შესანიშნავი ნიმუშები უძველესი ხელოვნების შესწავლისთვის.

მარიამ სურგულაძე

დედაენისადმი მიძღვნილი კვირეული

აპრილის ბოლოს კიდევ ერთი განსაკუთრებული ფურცელი გადაიშალა ქუთაისის 38-ე საჯარო სკოლის ისტორიაში (დირექტორი **გივი ჯავახაძე**, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში **ელისო ჯიბლაძე**). დედაენისადმი მიძღვნილი კვირეული რამდენიმე საინტერესო აქტივობით აღინიშნა, ჩატარდა ღია გაკვეთილები: ქართულ ენასა და მუსიკაში (პედაგოგები: **დალი კაკაურიძე** და **ლია ბობოხიძე**, II კლ), ქართულ ენასა და ლიტერატურაში თანამდეროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით (პედაგოგები: **მთვარისა კიკვაძე** და **ანზორ ბაბუნაშვილი**, VI კლ.); ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას „ამასა ენასა ლაზარე ჰქვიან" ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები: **ლალი მილორავა** და **მაკა უჩაძე**; მოეწყო გამოფენები: „მრავალჭირვარამგადანახადი უნატიფესი ენა ქართული", „დავიცვათ ენის სიწმინდე" (პედაგოგი **რუსუდან ბაბუნაშვილი**); მოწვეულმა სტუმარმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **როზა დევდარიანმა** საინტერესო ლექცია ჩაატარა თემაზე „ვეფხისტყაოსანი" და ბიბლიური პარალელები" და სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისივე ავტორობით გამოცემული წიგნები.

გამომდინარე გაზეთ „ახალი განათლების" თემატიკიდან – „წიგნი და მოზარდი" – გაიმართა პროექტის „მე მიყვარს კითხვა! " პრეზენტაცია (პედაგოგი **ირმა ჭუმბურიძე** და IX^{2} კლასის მოსწავლეები), რომლის მიზანი იყო თანამედროვე ქართული საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულების გარკვევა და წიგნის მიმართ ინტერესის გაზრდა. მიზნობრივმა ჯგუფმა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, კვლევები და სოციოლოგიური გამოკითხვები ჩაატარა, დაამზადეს კედლის გაზეთი და სტენდები მუშაობის ამსახველი ფოტომასალითა და მუშაობის პროცესში შექმნილი ლექსების, ესსეებისა და ნახატების გამოყენებით. მოსწავლეებმა საკუთარი ფანტაზიით დაამზადეს ორიგინალური ბუკლეტები და სამკერდე ნიშნები, შეადგინეს კითხვარები ასაკის გათვალისწინებით, ჩაატარეს გამოკითხვა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, გამოიკითხა ქალაქის საზოგადოება (სულ 605 რესპოდენტი). შეხვდნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, იხილონ პროექტის ბლოგი ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://38skola.blogspot.com

მოსწავლეებმა გამოკითხვები ჩაატარეს სხვადასხვა ასაკის ადამიანებში. ყოველი გამოკითხვის შემდეგ მიღებული მასალა დაამუშავეს და მოამზადეს საერთო ანალიზი: გამოკითხული 104 მოსწავლიდან (7-დან 11 წლამდე) 79 უპირატესობას წიგნს ანიჭებს; 25 მიიჩნევს, რომ კომპიუტერი გაცილებით მისაღებია, ვიდრე წიგნი. კითხვა უყვართ, მაგრამ, ძირითადად, კითხულობენ ცოდნის მიღების მიზნით და უფროსების რჩევით; გამოიკვეთა კატეგორია, რომლებსაც არ უყვართ წიგნი და იძულებით კითხულობენ; 11-დან 15 წლამდე ასაკის 135 გამოკითხულიდან 122 აცხადებს, რომ უყვარს წიგნის კითხვა, მხოლოდ 13 არის გულგრილად განწყობილი, ხშირად კითხულობს – 78, იშვიათად – 57, კითხვისას, ძირითადად, ამოძრავებთ ინფორმაციის მიღების სურვილი, 23 სიამოვნების მიღების მიზნით კითხულობს; კვლევაში მონაწილე 16-დან 25 წლამდე ასაკის 145 რესპონდენტიდან 111-ს კითხვა ინფორმაციის მიღების მიზნით უყვარს; მოზარდთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კომპიუტერს, თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ წიგნს თავისი ადგილი აქვს მათ ცხოვრებაში და არ აპირებენ მის დაკარგვას.

პროექტზე მუშაობას მოსწავლეებმა სამი თვე მოანდომეს (წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტის მიხედვით) და ჩატარებული კვლევის შედეგად გააკეთეს შემდეგი ანალიზი: სხვადასხვა ასაკის 605 გამოკითხულიდან 522 კითხვის მოყვარულია, მათგან ხშირად კითხულობს – 359, დანარჩენი კი იშვიათად, დროის უკმარისობის გამო. რესპონდენტები, ძირითადად, ინფორმაციის მიღების მიზნით კითხულობენ. კითხვაზე: „შეცვალა თუ არა კომპიუტერმა წიგნი?" 403 რესპონდენტი დადებითად პასუხობს, მხოლოდ 202 ადამიანი მიიჩნევს, რომ კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს. გამოკითხულების პასუხებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა დაასკვნეს, რომ ვითარება არც ისე საგანგაშოა, როგორც ეს კვლევის დაწყებამდე წარმოედგინათ, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ ეს არც დამშვიდების საშუალებას იძლევა, რადგან რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უყვართ წიგნი, მაგრამ კითხვას ნაკლებად ახერხებენ. გამოიკვეთა ის პრობლემაც, რომ გამოკითხულთა 90%-ს მიაჩნია, რომ დღეს ახალგაზრდობას წიგნი აღარ უყვარს და ამის მიზეზად ტექნიკის განვითარებას ასახელებენ (ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური). თუმცა, მოსწავლეები იმედოვნებენ, რომ წიგნს ყოველთვის ეყოლება მკითხველი და არასდროს დაიმტვერება თაროებზე ერთგული მკითხველის მოლოდინში.

პროექტზე მუშაობამ მოსწავლეები დაარწმუნა, ადამიანების ცხოვრებაში რაოდენ დიდი ადგილი უნდა ეჭიროს დღეს წიგნს. თავს ბედნიერად მივიჩნევ, რომ ამ პროექტის გაცნობამ იმედი გამიღვივა, რომ მოდის თაობა, რომლის ცხოვრებაში წიგნს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირება.

მარინე უკლეგა

P.S. პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გავესაუბრეთ მონაწილეებს:

ლანა სულაქველიძე: *„პროექტზე მუშაობამ ანალიზისა და მსჯელობის უნარი შემძინა, ჯგუფური მუშაობა ვისწავლე და, რაც მთავარია, პროექტის მონაწილეები უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს."*

ბაგრატ ხუჯაძე: *„პროექტზე მუშაობამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და კვლევის უნარი შემძინა, წიგნებისადმი ინტერესიც უფრო გამიღრმავდა."*

თეონა ხაჭაპურიძე: *„გავიგე საზოგადოების აზრი წიგნსა და კომპიუტერთან დაკავშირებით, დავწერე ესსე, რომელშიც წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გავუსვი ხაზი და ზუსტად გადმოვეცი ჩემი მოსაზრება."*

ანგი მანჯავიძე: *„მუშაობის პროცესში მივხვდი, რომ წიგნს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ჩემს ცხოვრებაში და რომ მას ვერაფერი შეცვლის."*

ნოდარ ხურციძე: *„პროექტზე მუშაობამ გამიღვივა წიგნისადმი სიყვარული, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვება."*

კოლხური სალამო გამარჯვების საჯარო სკოლაში

ქართული ენის დღე სკოლაში საზეიმო განწყობით დაიწყო. ჩვენთვის დიდი პატივი იყო ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატობის კანდიდატის, პოეტ აკადემიკოსის, ღირსების ორდენის კავალერის, ბატონ **ვაჟა ეგრისელისთვის** მასპინძლობის გაწევა. სტუმართა შორის იყვნენ: **სიმონ ზაქარაია** – ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, პოეტი, აკადემიკოსი; **ჯემალ ხარებავა** – კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის პროფესორი, აკადემიკოსი; მათ გვერდს უმშვენებდნენ პოეტი ქალბატონები: **ლამზირა შეყილაძე**, **გულნაზ ხარაიშვილი** და ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული პოეტი და მწერალი, აქტიური საზოგადო მოღვაწე და ეროვნული მოძრაობის წევრი, ქალბატონი **მარინა გაბური**.

საღამოს ესწრებოდნენ: გარდაბნის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მარიამ გარაშვილი**, პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ლილი წურწუმია** და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი **გიული აივაზაშვილი**.

დარბაზში უმალ შეიკრიბა პოეზიის მოყვარული საზოგადოება და ჩვენი ხელოვნების მასწავლებელი, მსახიობი **ეკატერინე ქვრივიშვილიც** მთელი სიყვარულით შეუდგა საქმეს – საინტერესოდ გაგვაცნო ბატონი ვაჟას ცხოვრება, მისი პიროვნება და პოეზია.

ვაჟა ეგრისელის ლექსებში უდიდესი პატრიოტიზმი, რომანტიზმი, მეგობრობა თუ სიყვარული ისე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, თითქოს ჩანგის სიმთა ხმაშეწყობილ ჰანგზე კოლხეთის ზღვის იავნანას უსმენდეთ.

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე“ – ასე იჩქარის ოდითგანვე ქართველი კაცი ამოთქმას ლექსისას, რომელიც ბუნებრივად შესისხლხორცებია ქართულ გენს; მუდამ აწვალებს სათქმელი ქართველს, მუდამ რაღაც უხარია ანდა აწუხებს და არ შეუძლია, ისე, უბრალოდ თქვას სათქმელი, ლექსად უნდა აამღეროს უეჭველად, თავისი გულის სისხლი უნდა ამოაყოლოს სიტყვას, *„რომ სხვის გულში გადავიდეს, იქ დაბინავდეს, რათა გაქვეყნდეს“*, *„წვერს მარგალიტი მოისხას“*, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა.

ასე აუმღერებია ვაჟა ეგრისელსაც თავისი სიტყვა-სათქმელი და ეს სიმღერა უდიდესი ძალით მოედო იმ დღეს მსმენელთა გულებს.

ბატონმა ვაჟამ სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყო – ჩვენი სკოლის დირექტორს, ბატონ **გურამ ნათენაძეს** მიანიჭა ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება. სკოლის პედაგოგთა სახელით გულით ვულოცავ მას ამ საპატიო ჯილდოს.

სევდაზე მოგახსენებდით ზემოთ, დამეთანხმებით, თვითონ სიტყვა „აფხაზეთი“ იქცა სევდის სინონიმად. მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი სოხუმში და თავი ზღაპარში მეგონა. მაშ, რა ქნან მათ, ვინც ამ ზღაპრულ სამყაროში დაიბადა, გაიზარდა, ცხოვრების სიბრძნეს ეზიარა და პიროვნებად ჩამოყალიბდა? მერე მოვიდა გადამთიელი, აჰყარა ფარ-ხმალი (ძალამ ხომ იცის ზოგჯერ აღმართების ხვნა) და უთხრა: წადი, აქ მე მინდა ცხოვრება იმიტომ, რომ შენზე ძლიერი ვარო, იმიტომ რომ შენ კაცი ხარ, მე კი – არაკაციო, ეს ჟამი კი არაკაცებისაა, აქ კაცებს წილი არა აქვთო!

მაგრამ აფხაზეთის ზღაპრული ედემი არაკაცებისათვის არ შეუქმნია ღმერთს, ის თქვენია ვაჟკაცებო, ეგრისელებო, კოლხებო, ქართულო ჯიშო! ის შენი ნაწილია და აუცილებლად მიიღებ იმას, რაც შენი კერძია აქაც, ამ მინიერ ჟამში და იქაც – მარადისობაში.

იზა გვირჯიშვილი

გამარჯვების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მეგობრობის დღესასწაული

ქართველ კაცს, სხვა კარგ თვისებასთან ერთად, ერთი გამორჩეული თვისებაც აქვს – ეს არის სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ მკვეთრად გამოხატული პატივისცემა და სიყვარული. ისტორიული თუ ახლო წარსულიდან ასეთი დამოკიდებულების ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ ამჟამად სულ სხვაგვარ მეგობრობაზე გიამბობთ.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები, თურქეთის საელჩოს ინიციატივით, ქალაქ რიზეში მიიწვიეს იქაურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად და თურქ ბავშვებთან დასაახლოვებლად. რა თქმა უნდა, ეს თავისთავად სასიამოვნო ფაქტი იყო, რადგან ასეთი პროგრამით ჩვენი ბავშვები არასოდეს ყოფილან განებივრებულნი.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ფესტივალი ყოველი წლის 23 აპრილს ტარდება და ის „თურქეთის მამად“ წოდებული პრემიერ-მინისტრის, ათა თურქის საიუბილეო დღეებს ემთხვევა. წელს თურქეთი ათა თურქის დაბადების 125-ე წლისთავს ზეიმობდა.

მეტად სასიამოვნო იყო ისიც, რომ ჩვენთან ერთად თბილისის კიდევ სამი სკოლა იყო მიწვეული. მგზავრობამ ქართველი ბავშვები სწრაფად დააახლოვა და შემდეგ დაამეგობრა კიდეც.

გამგზავრება აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის დღეებს დაემთხვა, რამაც კიდევ უფრო მეტი ძალითა და სულიერებით აგვავსო დიდებიცა და პატარებიც.

გამგზავრებამდე მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად მოიძიეს, შეისწავლეს, უკეთ გაეცნენ თურქეთის ისტორიას, კულტურას, გეოგრაფიას, მოსახლეობას, შეივსეს ცოდნა ამ ქვეყნის წარსულზე, გაიხსენეს ოდესღაც ჩვენი კუთვნილი ძირძველი კუთხის ისტორიაც, ცოტა სასაუბრო თურქულ ენასაც დაეუფლნენ.

ბათუმს რომ გავცდით და საზღვარიც გავიარეთ, რელიეფი იმდენად ჰგავს ქართულს, არც კი გვიგრძვნია უცხო მიწაზე რომ ვიყავით. რაღაც ქართული და ახლობლური მადლი ტრიალებდა ირგვლივ...

რიზე ულამაზესი ქალაქი აღმოჩნდა: ზღვის პირას გაშენებული და უზარმაზარი მწვანით მოსილი მთებით დამშვენებული. ეს ფირუზისა და ზურმუხტის ფერების შეზავება, კრიალა ცა და გაბრწყინებული მზე (უჩვეულოდ კარგი ამინდი იდგა) ზღაპრულ ელფერს სძენდა იქაურობას.

მასპინძლები საოცარი გულთბილი ხალხი აღმოჩნდნენ. ჩვენს ბავშვებს უცხოობა რომ არ უგრძვნიათ, ეს სწორედ მათი დამსახურება იყო.

ოჯახებში ცხოვრებამ უფრო საინტერესო გახადა ჩვენი ბავშვების მოგზაურობა. ისინი თურქ თანატოლებთან ერთად დადიოდნენ სკოლაში, მონაწილეობდნენ სპორტულ შეჯიბრებებში, თავისუფალ დროს კი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ეცნობოდნენ.

სკოლები, რომელთა მოსწავლეებსაც ჩვენი ბავშვები დაუმეგობრდნენ, არაჩვეულებრივ მასპინძლობას გვიწევდა. ვეცნობოდით პედაგოგების საქმიანობას, ვსაუბრობდით იმ პრობლემებზე, რომლებიც საერთო იყო ჩვენთვის (ის კი უნდა ითქვას, რომ თურქი პედაგოგები უკეთეს პირობებში მუშაობენ, მატერიალურადაც და მორალურადაც უფრო დაცულები არიან).

ფესტივალზე, რომლის დასკვნითი ნაწილი 23 აპრილს ჩატარდა, თურქ ბავშვებთან ერთად, ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა – ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილებმა დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიქციეს. თურქმა ჟურნალისტებმა, თავიანთი ჟურნალ-გაზეთებისთვის უამრავი ფოტოსურათი გადაგვიღეს.

ბავშვებს გული დაწყდათ, რომ დღეებმა ძალზე სწრაფად გაირბინა. გამომშვიდობება გულწრფელად სევდიანი, ამავე დროს ამაღელვებელიც იყო, რადგან ამ დღეებში კიდევ ერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა, სათავე დაედო იმ დიდ საქმეს, რასაც ერებს შორის სიყვარული და მეგობრობა ჰქვია.

თურქეთი იმ რწმენით დავტოვეთ, რომ კვლავაც დავბრუნდებით, ჩვენთანაც ჩამოვლენ იქაური ბავშვები და მეგობრობის ხიდი კვლავ გაიდება ჩვენს ხალხებს შორის.

ავტობუსი უკვე საქართველოსკენ მოგვაქანებდა. ვბრუნდებოდით უამრავი შთაბეჭდილებით აღვსილნი, თბილისი მშობელივით მოუთმენლად გველოდებოდა, იქ კი, თურქეთში, უამრავი ახალი მეგობარი და განვლილი ლამაზი დღეების მოგონება გვეგულებოდა.

ნანა ძიგოშვილი

თბილისის №59 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი

ერთი გაკვეთილი ეკონომიკაში

თელავის რაიონის სოფ. იყალთოს საჯარო სკოლის ჩამოყალიბებას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. სათავეს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს. მისი პირველი დირექტორი იყო **ნინო ჯავახიშვილი** 1976 წლამდე, 1976-1987 წლებში – **მირიან ბერძენაშვილი**, ხოლო 1987 წლიდან კი **ნოდარ ბერძენაშვილი** ხელმძღვანელობს. იყალთოს საჯარო სკოლა ავტორიტეტულია რაიონში, ჩვენი მოსწავლეები მაღალ დონეზე ეუფლებიან ცოდნას სხვადასხვა საგანში, გვაქვს ბევრი გამარჯვება და სიახლე, დამახასიათებელი თანამედროვე სკოლისათვის, ტარდება სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიება, იდგმება სპექტაკლები, იმართება მუსიკალური და რელიგიური კონკურსები. ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ რაიონში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი სკოლის მოსწავლეთა გუნდმა მიმდინარე წელს და სხვ. VIII კლასის მოსწავლემ, **ნათია ბოტკოველმა** პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო ანა კალანდაძისადმი მიძღვნილ კონკურსში გამარჯვებისათვის, ამავე კლასის მოსწავლემ, **მარიამ გიგაშვილმა** კი უმაღლესი ქულა დააგროვა ქართულში ქვეყნის მასშტაბით.

სკოლაში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებითში – 5 საგნის ინტეგრირებით (პედაგოგი ნატო გიგოლაშვილი); საბაზო – VIII კლასში – 3 საგნის ინტეგრირებით (პედაგოგები: **ეკატერინე იმერლიშვილი, ნინო ბაჩიაშვილი**); VIII კლასში (განაყოფი) – 3 საგნის ინტეგრირებით (პედაგოგები: **ნათია ჯიჯელავა, მიხეილ ბერძენაშვილი, ირა ჯაშიაშვილი**).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ XI კლასის ეკონომიკის შემაჯამებელ გაკვეთილზე, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს სრულად შეესაბამება და სიახლეა. (პედაგოგი **ეკატერინე იმერლიშვილი**).

მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემა „ორი საწარმოს წარდგენა“. ორივე საწარმო კვების ობიექტია – „ხინკლის სახლი“ – კახეთში, ხოლო „პიცერია“ – ვენეციაში. ამ გაკვეთილის მომზადებაში აქტიურად იყო გამოყენებული შემდეგი შესწავლილი თემები: თავისუფალი მეწარმეობა, მოთხოვნა, მიწოდება, მომხმარებლები, ინვესტირება, ბიზნესი თავისუფალი მეწარმეობის პირობებში, საწარმოს დაფინანსება, წარმოება და მწარმოებლურობა, სამუშაო ძალა, კონკურენცია.

გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა სამი აქტივობა: როლური თამაში, დისკუსია და შეჯამება-შეფასება ნომინაციებში. ამ გაკვეთილის მიზანი იყო, ეკონომიკური ცნებები და თამაშის წესები გამოეყენებინათ რეალურ ცხოვრებაში, ამისათვის კლასში შეიქმნა თანაკლასელთა 2 ჯგუფი. ერთი ჯგუფი წარმოადგენდა იტალიის ქალაქ ვენეციაში არსებულ პიცერია „მარგალიტას“, ხოლო მეორე – სოფელ იყალთოში არსებულ „ხინკლის სახლს“. შეიქმნა სცენარი ორივე ჯგუფისათვის. თითოეული ჯგუფი შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: ჟურნალისტი, ოპერატორი, საწარმოს მფლობელი, მენეჯერი, დიზაინერი, კურიერი, ოფიციანტი და კლიენტები. ჯგუფებმა წინასწარ იზრუნეს თავისი „საწარმოს“ კეთილმოწყობაზე, მთავარი როლი აქ დიზაინერმა შეასრულა. მოიძიეს მდიდარი თვალსაჩინო მასალა, ფოტოსურათები, პლაკატები; შექმნეს სტენდი, დროშა; შეაგროვეს სხვადასხვა ნივთი, რასაც მკაფიოდ გასდევდა ეროვნული მოტივები. ჟურნალისტების მიერ დასმული იყო სხვადასხვა წამყვანი კითხვა, რომლებიც სრულყოფილად მოიცავდა მათი საქმიანობის ყველა სფეროს.

გაკვეთილი ვენეციიდან ჩართვით იწყება. ოპერატორი იღებს კამერით და ჟურნალისტი სვამს კითხვებს თითოეულ მათგანთან:

საწარმოს (პიცერია, ხინკლის სახლი) **მფლობელი** ხსნის, თუ როგორ მოხდა საწარმოს დაარსება, რა წინაპირობა და მიზეზები არსებობდა ამისათვის, ჰქონდა თუ არა გამოცდილება, როგორ მოიძია კაპიტალი და ჰქონდა თუ არა დანაზოგი ამისათვის.

მენეჯერი (პიცერია, ხინკლის სახლი) ხსნის საწარმოს სტრუქტურას, საუბრობს თანამშრომლების შერჩევაზე, თუ რა მეთოდი გამოიყენა იმისათვის, რომ მაღალკვალიფიცური და ნდობით აღჭურვილი პირებით შეევსო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. მას ხელთ აქვს საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიში, რომელიც ნათლად ასახავს გასაღება-რეალიზაციის პროცესს, ხარჯებსა და მოგებას.

დიზაინერი – გაითვალისწინა ყველა ტიპის მომხმარებლის გემოვნება, ეროვნულობას მიანიჭა უპირატესობა, შექმნა მაქსიმალური კომფორტი, მოაწყო სპორტული კუთხე, სადაც ცნობილი ფეხბურთელების ფოტოებია გამოკრული (პიცერია), იტალიის ქალაქების ულამაზესი ხედები (შესაბამისად, კახეთის), ცნობილი პიროვნებების სამახსოვრო საჩუქრები და სახასიათო ინვენტარი.

კულინარი – საუბრობს მენიუს საიდუმლოებებსა და სპეციფიკაზე.

კურიერი მუდმივ მზადყოფნაშია გასამგზავრებლად და გამოძახებით მომსახურებისათვის.

მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით შექმნეს პროდუქცია. პიცერიის ჯგუფმა გასაყიდად გამოიტანა ორნაირი პიცა – ხორცითა და სოკოთი, ხოლო ხინკლის სახლმა ორნაირი ხინკალი – ხორცითა და კარტოფილით. შესაბამისად, გამაგრილებელი გაზიანი და უგაზო სასმელები, ცივი ჩაი, სხვადასხვა სახის ლიქიორი, ხინკლის სახლმა კახური ღვინო, შავი და თეთრი, ლუდი „ყაზბეგი“ და ლიმონათი „ნატახტარი“, სხვადასხვა სახის ლიქიორი.

პიცერიის სლოგანია **„ჩვენი პიცა „მარგალიტა“ მარგალიტივით მშვენიერია“.** დამატებითი მომსახურებისთვის ჯგუფმა დააწესა საჩუქარი – შავი მარგალიტი ოკეანის ფსკერიდან, თუ კლიენტი 1 წლის განმავლობაში მუდმივად სარგებლობს ამ პიცერიის მომსახურებით.

ხინკლის სახლის სლოგანია **„ჭამე – გული გაიხარე“** – კახელი გლეხის გამოსახულებით. ამ ჯგუფმა დამატებით მომსახურებაში შემოიღო 5 ბოთლი გაზიანი სასმელი ყოველ შეკვეთილ 100 ხინკალზე.

როლური თამაშის შემდეგი აქტივობა გახლდათ დისკუსია, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები ერთვებიან და სვამენ კითხვებს მონაწილე ჯგუფებთან. დისკუსიის შემდეგ უკვე მასწავლებლებისაგან დაკომპლექტებული ჟიური აკეთებს შეჯამებას და აფასებს ნომინაციებში ორივე ჯგუფს, ფარული კენჭისყრით იწერება ქულები 4 ნომინაციაში.

ძლიერი ეკონომისტი;
საუკეთესო მენეჯმენტი;
საუკეთესო დიზაინერი;
საუკეთესო რეკლამა.

როლური თამაში შეფასდა განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმით. გამოვიყენეთ ასევე თვითშეფასება და ურთიერთშეფასება.

დისკუსია შეფასდა ინდივიდუალური ფორმით და ურთიერთშეფასებით.

გაკვეთილი გამოვიდა ძალიან საინტერესო, ცოცხალი და სახალისო. თითქმის ყველა შესწავლილი მასალა იყო გამოყენებული „საწარმოს ასამუშავებლად“, შეიქმნა ორი მხარის იმიტაცია ვიზუალურად (გათვალისწინებული იყო ჩაცმულობა, მისალმება და სხვ.). მოტივაცია მაღალი იყო როგორც მოსწავლეებიდან, ასევე დამსწრე აუდიტორიიდან, დაისვა მრავალი დამატებითი კითხვა და ცხარე დისკუსია გაიმართა, რაც გულისხმობს, რომ გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, რაშიც დიდი წვლილი და დამსახურება მიუძღვის საგნის მასწავლებელს, ეკატერინე იმერლიშვილს.

მიხეილ ბერძენაშვილი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი

„მეცხრე ცაზე ვარ ასული, რომ ხარობს ძე და ასული...“

ამ დღეებში ერთობ შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში. ქართული სექტორის IV კლასის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეს, პოეტ **ჯუმბერ უთრუთაშვილს**. შეხვედრა პოეტის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა და მისი შემოქმედების მიმოხილვას მოიცავდა.

ღონისძიება კლასის ხელმძღვანელმა, **ციური მოსულიშვილმა** გახსნა. მან პოეტის ბიოგრაფიის მთავარ მომენტებზე ისაუბრა, დამსწრე საზოგადოებას მისი ცხოვრების სევდიანი ფურცლები გააცნო და რამდენიმე ლექსიც წაიკითხა მისი შემოქმედებიდან. შემდეგ ციური მასწავლებელმა სიტყვა თავის აღსაზრდელებს გადასცა. მეოთხე მეოთხეკლასელებმა: **ნიკა ბიკაშვილმა, ნინო ბაიაშვილმა, მანანა და ხვთისო გიგაურებმა, თამარ იკოევმა, თეკლე ლიქოკელმა, ლილი მაზიაშვილმა, მარინა ფიდუაშვილმა, ნუკრი ქოქიაშვილმა, ოლია უმრშატიანმა** წარმოადგინეს მონტაჟი ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსებზე. თემატურად დაყვეს პოეტის შემოქმედება და ყოველი ნაწილი შესაბამისი შინაგანი მუხტითა და არტისტიზმით გადმოგვცეს. შემოქმედებით საღამოზე მუსიკის მასწავლებლის, **ლალი ფიროსმანაშვილის** აკომპანირებით ბატონი ჯუმბერის ლექსებზე აჟღერებული სიმღერებიც შესრულდა.

მასწავლებლის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მან შეძლო ბავშვებამდე მიეტანა ჯუმბერ უთრუთაშვილის შემოქმედების ყოველი ნიუანსი. სამწუხაროდ, პოეტს ცხოვრებაში ტკივილი უფრო მეტი ხვდა წილად, ვიდრე სიხარული. ბავშვებს სევდა მოჰგვარა მისი ჭაბუკი შვილის – მალხაზის ტრაგიკულმა დაღუპვამ.

შთაბეჭდილებას ამძაფრებდა გემოვნებით გაფორმებული სცენა და ღონისძიების ლაიტმოტივად წამძღვარებული ფრაზა: *„მეცხრე ცაზე ვარ ასული, რომ ხარობს ძე და ასული...“* სწორედ ოპტიმიზმია ჯუმბერ უთრუთაშვილის პოეზიის მთავარი არსი.

პოეტმა მადლობა გადაუხადა ბავშვებს და მათ პედაგოგებს გულთბილი შეხვედრისათვის და სკოლის ბიბლიოთეკას საკუთარი ლექსების კრებულები გადასცა საჩუქრად.

სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის დირექტორმა, **ლალი მენთეშაშვილმა** მადლობა გადაუხადა ჯუმბერ უთრუთაშვილს და მის უახლოეს მეგობარს, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის წევრს, პოეტ **ზაურ გონაშვილს** სკოლაში მობრძანებისთვის და საღამოში მონაწილეობისთვის.

მეოთხეკლასელებს დიდხანს გაჰყვებათ იმდღევანდელი შთაბეჭდილებები. შემოქმედ ადამიანებთან უშუალო კონტაქტი, უდავოდ, ხელს შეუწყობს ბავშვების მადლიან ქართულ სიტყვასთან, ჭეშმარიტ პოეზიასა და მშობელი ქვეყნის სიყვარულთან ზიარებას.

მარიკა პოპიაშვილი

კვალი ნათელი

სიყვარულით განვლილი გზა

70 წელი შეუსრულდებოდა ხიბლითა და ინტელექტით გამორჩეულ, მაძიებელ, შემოქმედ პედაგოგს, **თამარ ბარათაშვილს**. ხუთიექვსი წელი თითქოს ძალზე მცირე დროა საიმისოდ, რომ პროფესიონალ პედაგოგად ჩამოყალიბდე, მაგრამ თურმე შესაძლებელი. სწორედ ექვსი სასწავლო წელი იღვაწა სკოლაში ქალბატონმა თამარმა, მაგრამ შემოქმედების „ღვთიური ნაპერწკლით“ ანთებული ისე მთლიანად შეერწყა და შეესისხლხორცა სკოლას, იმდენის გაკეთება მოასწრო, იმდენი სითბოსა და სიყვარულის გამოსხივება შეძლო, რომ მისი სულის სილამაზე დღესაც უკვდავი და ფერუცვლელია. იგი დაუსრულებლად გადადის თაობიდან თაობაზე, კოლეგიდან კოლეგაზე და ასე დაუსაბამოდ.

დახვეწილი ინტელექტით ნასაზრდოები ფესვებით მოდიოდა. დიდი ოჯახიშვილობის მადლი, გენი და არისტოკრატულობა, შინაგანი მრწამსი, ფაქიზი ბუნება მის პიროვნებას ყველასაგან გამოარჩევდა.

დაამთავრა ხულოს პედაგოგიური სასწავლებელი. მშობლიური რაქვთის რვაწლიან სკოლაში ორი წელი იღვაწა. შემდეგ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ინსტიტუტს პროფესორ-მასწავლებელთა ბრწყინვალე კოჰორტა ამშვენებდა. **ნადია საბაშვილი, ნელი დუმბაძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, შოთა ნიჟარაძე** და სხვები მომნუსხველ ზეგავლენას ახდენდნენ სტუდენტებზე და კეთილ კვალს ტოვებდნენ მათ სულებში.

თამარი მათი გამორჩეულად საყვარელი სტუდენტი გახლდათ. დაუშრეტელი ენერგიით, სიცოცხლის ტრფიალით, ნათელი, გამჭრიახი გონებით, ცოდნისა და ბავშვის სულის მართვის ურთულესი ხელოვნების დაუფლებისადმი შეუნელებელი სწრაფვით იგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. ინსტიტუტმა ბევრი რამ შეჰმატა სწავლას მოწყურებულ ქალიშვილს.

„მასწავლებელი გზა სამერმისო, მასწავლებელი იმედი დიდი, მასწავლებელი – სინათლის დედა, ქვეყნად მეგ ზური ყველაზე დიდი.“ – პოეტის ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება ქალბატონ თამარის პედაგოგიურ საქმიანობას. რიყეთელი და დანისპარაულელი ბავშვებისათვის იგი მართლაც დიდ იმედად იქცა. შემოქმედი პედაგოგი პატარებს თავიდანვე ასწავლიდა ფიქრს, აზროვნებას, ძიებას, მსჯელობას, დასკვნის გაკეთებას, უნერგავდა ცოდნის წყურვილს, სისპეტაკეს და კაცთმოყვარეობას. ეხმარებოდა, გამხდარიყვნენ ცნობიერნი, გონიერნი, საზრიანნი, კეთილშობილნი. მისი ყოველი გაკვეთილი, ყოველი ღონისძიება ერთმანეთისაგან განსხვავებული და ერთიმეორეზე მიმზიდველი გახლდათ.

ხალხის თვალი უტყუარია, უმალ შეამჩნევს ღირსეულს, შეიყვარებს და თავისებურად დააფასებს. ახალგაზრდა, მაძიებელი, მომხიბლავი მასწავლებელი გულით შეიყვარეს არა მარტო მოსწავლეებმა, არამედ მათმა მშობლებმაც. წინ ოცნებებით სავსე დიდი და ლამაზი ცხოვრება უხმობდა, მაგრამ ნაადრევად შეეკვეცა ფრთები ამ ოცნებებს, იგი 30 წლისა გარდაიცვალა.

კარგად უთქვამს გოეთეს: *„ვისაც თავის დროზე კარგად უცხოვრია, ის ყოველთვის ცოცხალია“.* ასეა ამ შემთხვევაში – ქალბატონ თამარის სახელი მართლაც არასოდეს დაიკარგება, თუნდაც იმით, რომ მშობლიურ სკოლას მისი სახელი მიენიჭა.

აკაკი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე

144-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ისტორიის ღვაწლმოსილი მასწავლებელი

ნაილი ავძოფაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კრებული შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ (**ეკა ქორიძე, ბაია ახალაია, ირაკლი კაკაბაძე**), სამუშაო რვეულის პრინციპით. მასში წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის ნიმუშები: ასაღლიანი ტესტის ვარიანტები (თან ერთვის **პასუხების ფურცელი**), უცნობი მხატვრული ტექსტები წერითი დავალების (მათ შორის ინტერტექსტუალურის) შესასრულებლად, ასევე მითითებები საქმიანი ქაღალდებისა და სამოტივაციო წერილების შესაქმნელად.

კრებული განკუთვნილია აბიტურიენტთა და უფროსკლასელთათვის, რათა უკეთ მოემზადონ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ადგილებში.
ტელ.: 877 763 763, ელფოსტა: iraklikakabadze@posta.ge

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

2009 წლის 2-3 მაისს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტური გაიმართა, რომელშიც 1 366 მოსწავლე მონაწილეობდა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ნიკა გვარამია**, მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე** და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი** ოლიმპიადის II დასკვნითი ტურის მიმდინარეობას თბილისის მე-10 საჯარო სკოლაში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განთავსებულ კომპიუტერულ ცენტრში დააკვირდნენ.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ბავშვები და ოლიმპიადის ფინალურ ტურში იღებენ მონაწილეობას. ყველა საგანსა და ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდება ათი საუკეთესო და მათ შორის პირველი სამეული დაჯილდოვდება“, – განაცხადა მინისტრმა.

რამდენიმე დღეში გამარჯვებული ათეული გამოცხადდება. გამარჯვებული მოსწავლეები ეროვნული ნაკრების პოტენციური წევრები არიან. ეროვნული ნაკრები კი მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

სასწავლო ოლიმპიადა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა. ოლიმპიადა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა და მასში 130 000-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა.

განათლების სამინისტრო სასკოლო ოლიმპიადების ჩატარებას ყოველწლიურად გეგმავს.

სპორტი

„ჯორჯია“ ამსტერდამისთვის ემზადება

15 მაისს არველაძეების საქველმოქმედო ფონდის ინიციატივით შექმნილი 12-წლამდელთა ნაკრები ამსტერდამში გაემგზავრება იქაურ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობისთვის. ეს ძალზე წარმომადგენლობითი შეჯიბრებაა, რომელშიც მასპინძელთა „აიაქსი“, იტალიური „ინტერი“, ბრიტანული „ჩელსი“ და სხვა ტიტულოვანი კლუბების ბავშვთა გუნდები გამოვლენ. ამ ძლიერ ტურნირში ღირსეულად გამოსასვლელად ქართველი მოზარდები გულმოდგინედ ემზადებიან. სამშაბათს 35-ე სკოლის, 1997 წელს დაბადებულთა, გუნდთან საკონტროლო შეხვედრაში მათ 4:2 იმარჯვეს. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა – ანგარიში ჯორჯიელებმა გახსნეს, თუმცა მერე ინიციატივას სკოლელები დაეუფლნენ და 2:1 დაწინაურდნენ. საბედნიეროდ, ნოდარ აკობიას გაწვრთნილ 12-წლამდელებს თამაშში რადიკალური ცვლილების შესატანად მონდომება ეყოთ, მეტოქეს 3 უპასუხო გოლი გაუტანეს და საბოლოოდ 4:2 გაიმარჯვეს.

„ჯორჯია“ ამსტერდამის ტურნირში არველაძეთა ფონდის დახმარებით მიემგზავრება, თუმცა მანამ კიდევ გამართავს რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას.

მოჭიდავეთა მორიგი ტრიუმფი

ამ უქმეებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა და ჭაბუკთა ნაკრებებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს ბაქოს საერთაშორისო ტურნირში. ახალგაზრდულმა ნაკრებმა 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 6 ბრინჯაო მოიპოვა. დავით მარსაგიშვილმა (84) და გიორგი საკანდელიძემ (120) ტურნირი წაუგებლად დაამთავრეს და ჩემპიონები გახდნენ. ამ დუეტის გარდა, ფინალში კიდევ სამმა ჩვენებურმა იჭიდავა – ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (55), დავით ხუციშვილმა (74) და ელიზბარ ოდიკაძემ (96), მაგრამ სამივე დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. მესამე პრიზიორები – ლაშა ლომთაძე (50), გიორგი მაყიშვილი, მურთაზ კვესაძე (ორივე – 60), ზაურ აბრამიშვილი (66), ოთარ ურუტაძე (74) და ბექა ჭელიძე (84) გახდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა პირველი ადგილი მოიპოვა.

ამ ტურნირში ჩვენმა ჭაბუკებმა 9 მედალი მოიპოვეს – 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ისე მოხდა, რომ ყველაზე მჩატე 4 წონით კატეგორიაში, ფინალში თამაზ ბენდიანიშვილის შეგირდები გავიდნენ და გადამწყვეტი შეხვედრა ოთხივემ მოიგო – ბექა ბუჯიაშვილმა (42), ლაშა ტალახაძემ (46), აკაკი მოწონელიძემ (50), ლევან ქელეხსაშვილმა (58). ამათ საჩემპიონო მონაგარს თავისი წილი ოქროები ალექსანდრე ამინაშვილმა (76) და ომარ გუსოშვილმაც შეჰმატეს (100). ფინალში გავიდა, მაგრამ დამარცხდა და მეორეზე დარჩა ბექა გოგრიჭიანი (85), ხოლო ლვთისო იორამაშვილმა (42) და ზურაბ იაკობაშვილმა (58) ბრინჯაოები მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ.

პირველხარისხოვანი ტურნირებიდან, წლეულს, ჭაბუკთა ნაკრებს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი ელოდება, რომელიც 21-26 ივლისს სერბულ ზრენიანინში გაიმართება. ახალგაზრდები, ტრადიციულად, ევროპის პირველობაზეც გამოვლენ და მსოფლიოზეც. ევროპის ჩემპიონატი 30 ივნისიდან 6 ივლისამდე თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება, მსოფლიოს კი, 4-9 აგვისტოს, ანკარა უმასპინძლებს. ჭაბუკთა საევროპო შემადგენლობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ახალგაზრდებში კი რამდენიმე კანდიდატი უკვე გამოიკვეთა – ლომთაძე, ხინჩეგაშვილი და ოდიკაძე. სავარაუდოდ, ნაკრებში ადგილი გაინაღდეს მარსაგიშვილმა და საკანდელიძემ, თუმცა მათი საკითხი, როგორც სხვა წონებში არსებული კონკურენცია, შეკრებებზე და საერთაშორისო ტურნირში გაირკვევა.

18-წლამდელთა პირველობა

ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 18-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც ამ ასაკში მსოფლიოსა და ევროპის პირველობების საგზურებიც გაიცემოდა. ვაჟებში 7 ქულით ჩემპიონობა და მსოფლიოზე გამოსვლის უფლება რუსთაველმა ლუკა პაიჭაძემ მოიპოვა. ვერცხლი და ევროპის საგზური დავით ბენიძეს ერგო, თუმცა დამატებითი კოეფიციენტებით, რადგან მან და გიორგი ნიკოლიშვილმა 6,5-6,5 ქულა დააგროვეს. ნიკოლიშვილს ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

გოგონებში მთავარი საკითხები – ჩემპიონის, ვიცე-ჩემპიონისა და მსოფლიო-ევროპაზე წმასვლელის ვინაობა ერთი ტურით ადრე გაირკვა. ბოლო ტურის წინ სოფიკო გურამიშვილი 1,5 ქულით უსწრებდა მეტოქეებს და ისედაც მიუწვდომელი იყო, თუმცა ბოლო ტურში ყაიმი ითამაშა და საბოლოოდ 8 ქულა დააგროვა. მას ოქროს მედალი და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გადაეცა. ბოლო ტურამდე მდევართათვის ასევე მიუწვდომელი გახლდათ ქეთი წაწალაშვილი – მდევრებს ესეც 1,5 ქულით უსწრებდა. ბოლო ტურში თავი დიდად არც ამას დაუჯაფავს, მეტოქეს ფრედ ეთამაშა და 6,5 ქულის დაგროვებით ვერცხლსა და ევროსაგზურს დაეუფლა. კოეფიციენტით გამოვლინდა ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობა – ლელა უგულავა, რომელმაც ანა შამათავასა და ლიკა კობეშავიძის მსგავსად, 5,5 ქულა დააგროვა, თუმცა კოეფიციენტით აჯობა მათ.

ანა კუჭავა მსოფლიო ჩემპიონია

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დამთავრდა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში სკოლის მოსწავლეთა შორის, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. მაქსიმალური ასაკი 15 წლამდე იყო და ჩვენებმა ყველაზე დიდ წარმატებას სწორედ აქ მიაღწიეს - გოგონებში ანა კუჭავა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამავე ასაკის ვაჟებში ვერცხლის მედალი ნოდარ ლორთქიფანიძემ მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენმა სხვა მონაწილეებმა მედლები ვერ მოიპოვეს, თუმცა რამდენიმე მათგანი მეოთხე ადგილზე გავიდა.

სკოლების პირველობა

სამშაბათს, თბილისსა და გორში, მოჭადრაკეთა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი დაიწყო სკოლებს შორის, რომელიც საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ძალისხმევით ტარდება. იგი ორ ეტაპად ჩატარდება – მაის-ივნისში რეგიონული პირველობა გაიმართება. გამარჯვებულები ოქტომბერში, თბილისში, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასკვნით ტურში ითამაშებენ. იქ გამარჯვებული, 2010 წელს, სკოლების მსოფლიო პირველობაზე გაემგზავრება. რეგლამენტით, ყოველ გუნდში, 3 ვაჟი და 1 გოგონა უნდა იყოს, მთლიანად ჩემპიონატში 1000-მდე მოზარდი იასპარეზებს. თბილისურ ტურნირში 65 გუნდი ჩაება, გორში – 24.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.